

# საბრძოლო

ქართული  
ბიზნისი

საერთოული გაზეთი

პარასკევი 16 აპრილი 2004 №84 (2103)

ფასი 50 თეთრი




## ახალი განი თვალურ გაბინეტში

გურამ დოღანაშვილის ფოტო

## მორჩა, პირჩა! ანთაქე პრეზიდენტია

ყველაფერი აქეთ მოდიოდა, ეგაა, ცოტა პროცედურა გაჯანჯლდა. სამთვიანი დავისა და გაწევ-გამოწევის შემდეგ რაგბის კავშირის პრეზიდენტის საქმიანობით უკმაყოფილო სარაგბო თემმა გადაირჩია ბიძინა გეგიძე და აირჩია ყოფილი მორაგბე და ამჟამად დიპლომატი მერაბ ანთაძე. გუშინ სპორტის დეპარტამენტში უკვე მესამედ ჩატარდა არჩევნები და იქ ყველა ამომრჩეველი არ გამოცხადებულა, მაგრამ ვინც გამოცხადდა, ყველამ ქართული რაგბის სამყაროში გამოჩენილი ახალი კაცის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. „ჩვენ აუცილებლად ვითანამშრომლებთ ბიძინა გეგიძესთან და რაგბის კავშირის სხვა წევრებთან“ – ამბობს ჩვენი რაგბის ახალი მეთაური, ხოლო საქმის კეთებას ის უახლოეს დღეებში შეუდგება.




ქართულ კალათბურთში ანომალური მოვლენები ხდება, აუტსაიდერი „მაკაბი“ ზედიზედ უგებს ჩემპიონობის პრეტენზიის მქონე გუნდებს. მაგრამ თუ სამზარეულოში შევიჭყიტებით, ამოუცნობი მოვლენების ნაცვლად კარგად დადგმული სპექტაკლი შეგვჩვენებელთ. პლეი ოფში „დინამოს“ ასარიდებლად და უხელფასო „ბასკოსთან“ შესაყრელად სტუდენტური თსუ და სტუ ერთმანეთს წაგებაში თავპირისმტვრევით ეჯიბრებიან. ჯერ სტუ-მ წააგო „მაკაბისთან“, შემდეგ ამ გუნდს თსუ-

## ფარსის არსი

მაც მისცა თამაში. ხოლო როცა კვლავ სტუ-ს სვლის ჯერი დადგა, ტექნიკოსებმა კომედია ფარსად აქციეს — საერთოდ არ ჩავიდნენ რუსთავში და წაგებულისთვის განკუთვნილი 1 ქულაც ჩამოიკლეს. ამ დარღვევისთვის სტუ 1 000 დოლარითაც დაჯარიმდა, მაგრამ ტექნიკოსები მაინც კმაყოფილები არიან, ამ ფარსის წყალობით ისინი მესამე ადგილიდან მეხუთემდე დაქვეითდნენ და პლეი ოფში ჯერ „რუსთავს“ შეხვდებიან, ხოლო მისი გავლის შემთხვევაში ნახევარფინალში „ბასკოზე“ გადიან.

## ჩოგანს სიბები გავუბი ლაბაქემ საქართველო გვირს უზაბნებინა

ირაკლი ლაბაძე თანდათან სახიფათო მეტოქე ხდება ათას კორტგამოვლილი სახელიანი მეჩოგნეებისთვის. ეშტორილ ოუფენის მოგებით დამწყებმა გუშინ მეორე მეტოქე, ბელარუსი მაქს მირნიც ნ:პ, ნ:პ შემუსრა და ტურნირის მერვედფინალს უწია. აქ ის ჩოგანს გადაუჯვარედინებს 17 წლის ესპანელ სუპერმუჩარჩო რაფაელ ნადალს, ვინაც ჯერ უიმბლდონის მომგები გორან ივანიშვიტის ჩამოიცილა და მას უცხო ფრანგი რიშარ გასკე მიაყოლა.



## ჰაიბ!

უზუკასა აქამდე მორჩილი ალმასკომის ზოგმა ზეპრმა მერაბ შორღანიას და იოჰან ბოსკამპი ახალგაზრდული ნაბრების მფრთხელად არ დაუმტკიცა



ბადრი კითილაძის ფოტო

# ქირისი-30

ალენ ჟირესს მანჰაიმის შემდეგ მორიგი ამხანაგური მატჩის გამართვა კი ეჩქარება, მაგრამ მეტოქე იგვიანებს. თუმცა საქართველოს ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა თადარიგი ამთავითვე დაიჭირა და მისი ოცდაათკაციანი სანაკრებო სია ასეთია:

**მეზარეულები:** დავით გვარამაძე (დინამო), ზურაბ მამალაძე (ლოკომოტივი), ვიორჯი ლომია (სპარტაკი, რუსეთი), მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია).

**მცველები:** კახა კალაძე (მლანო, იტალია), გივი დიდავა (ქოჯაველი, თურქეთი), რევაზ ქეძოკლიძე (თბილისი), ვიორჯი შაშაშვილი (დინამო), ალექს აბისულაშვილი (დინამო, უკრაინა), ვალერი აბრამიძე (უგუნდო), ზურაბ ხიზანიშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), ოთარ ხიზანიშვილი (დინამო, რუსეთი).

**ნახევარმცველები:** ლევან კობიაშვილი (მალკე გერმანია), ლევან ცხიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), მამია კვიციანი (ამიკა, პოლონეთი), დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია), ლევან გვაზავა, ვიტალი დარასელია (ალანია, რუსეთი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით კვიციანი, ვიორჯი ნემსაძე, ალექს გოგობერიშვილი (დინამო), ლევან კორღაიძე (სკონტო, ლატვია), გორა ჯამარაული (მეტალურგი, უკრაინა).

**თავდამსხმელები:** ვიორჯი დემურაძე (მეტალურგი, უკრაინა), რატი ალექსიძე (როსტოვი, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), სანდრო იაშვილი, ლადო აბლაია (დინამო), მიხეილ აშვითია (ლოკომოტივი, რუსეთი).



მერაბ ჟორდანიას

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართა და მისი დასრულების შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას ყურნალისტების წინაშე წარდგა.

აღმასკომის დღის წესრიგში ყველაზე საინტერესო ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი გახლდათ, რომელიც ლიად დარჩა — იოჰან ბოსკაში აღმასკომის რამდენიმე წევრს თვალში არ მოსდის



ვლადიმერ ვლოშვილი

# მოსკოვში უპრობიდან

## ახალი ნაციონალური მერაბ ჟორდანიას წინააღმდეგ: იოჰან ბოსკაში ქართველი არაა

ბოსკაშიის პოზიცია ნათელია — თუ მე ვიქნები ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, ცხრაშეწყობილ და ჩვიდმეტწლამდელთა მწვრთნელების დანიშვნაც მე უნდა შემითანხმონ. ერთი სიტყვით, ახალგაზრდულ ნაკრებში მწვრთნელის დანიშვნის საქმე ცოტა არ იყოს რთულად მიდის — ძველ ხალხს თავისი არ ეთმობა.

ყურნალისტთა შეკითხვებზე ჟორდანიას პასუხები კი ასეთი გახლდათ:

— აღმასკომმა ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორად ანდრო აბაშიძე დაამტკიცა. დაკმაყოფილდა პროფესიული ლიგის თხოვნა და სამსახურ-საინსპექტორო კომიტეტი ორად გაყვავდა — მსაჯებს ანატოლი მილჩენკო უხელმძღვანელებს, ინსპექტორებს კი სერგო კოტრიკაძე.

— გადაწყვედა, რომ ფედერაციის მორიგი, მეშვიდე ყრილობა ივნისში გაიმართება — მისი ჩატარების წინასწარი თარიღი 17 ივნისია.

— აღმასკომმა მხარი დაუჭირა ალენ ჟირესის დანიშვნას ჩვენს ეროვნულ ნაკრებში. თუმცა ითქვა, რომ სანამ ჟირესს ჩამოვიყვანდით, აღმასკომის წევრებთან წინასწარი კონსულტაციები უნდა გავკეთებო.

— რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებში იოჰან ბოსკაშიის დანიშვნას, აღმასკომზე აზრი ორად გაიყო. სიტყვით გამოვიდა ვლადიმერ ელოშვილი, ვინც თქვა, რომ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი აუცილებლად ქართველი უნდა იყოს. მოკლედ, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა მათის პირველი რიცხვებისთვის გადაიდო. ალბათ, გადაწყვეტილების

დამოუკიდებლად მიღება არ მომიწევს. ბოსკაში მალე არგენტინაში გაემგზავრება, მე, ანდრო აბაშიძე და რევაზ არველაძე კი რამდენიმე დღეში კვიპროსზე წავალთ, სადაც უფასო კონგრესს დავესწრებით. არველაძე მალე მალაღ თანამდებობას დაიკავებს ფედერაციაში. აღმასრულებელ დირექტორს დავავალე, რომ თვის ბოლოსთვის საბოლოოდ ჩამოაყალიბოს ფედერაციას ახლებური სისტემა და არველაძის თანამდებობაც ზუსტად მაშინ გაირკვევა.

— აღმასკომის წევრმა დავით პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პარალელურად კლუბში არ უნდა მუშაობდეს. თუმცა გეტყვით, რომ ბოსკაშით სერიოზულადაა დაინტერესებული „თბილისი“.

— თუ ბოსკაშის ახალგაზრდულ ნაკრებში დაენიშნავთ, მისი ანაზღაურება თითქმის იგივე იქნება, რაც ეროვნული ნაკრების მწვრთნელის.

— შესაძლოა, ფედერაციას კიდევ გამოუჩნდეს სპონსორები — ჩვენ უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ორ სერიოზულ კომპანია-სთან.

— ალენ ჟირესს სურს, რომ მორიგი ამხანაგური მატჩი ნაკრებმა თბილისში გამართოს არაუგვიანეს აპრილისა. ჩვენი მეტოქე ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ჟირესი მეტოქის სიძლიერეს ამ შემთხვევაში დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს — მწვრთნელს ფეხბურთელების გამოცდა სურს და უკვე გამოვკვივრავთ მათი სია.

დავით თაგართილაძე

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პარალელურად სად იმუშავებს ჰოლანდიელი მწვრთნელი იოჰან ბოსკაში — აი, კითხვა, რომელიც ბოლო დროს ქართულ საფეხბურთო სამყაროში ხშირად ისმის.

ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელ აღმასკომის შემდგომ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ უკვე თბილისში მყოფი იოჰან ბოსკაშით დაინტერესებული ერთ-ერთი გუნდიც დასახელა — „თბილისი“

„თბილისის“ ხელმძღვანელობა ჰოლანდიელ მწვრთნელს გუშინწინ შეხვდა და კლუბში სამსახური შესთავაზა. საბოლოო სიტყვა არ თქმულა, თუმცა არც ბოსკაშია თბილისელთა წინადადების წინააღმდეგი და თუ სხვა რამ არ მოხდა, კლუბის უფროსები დღევანდელი „სიონ“ — „თბილისის“ შემდეგ უფრო კონკრეტულად იტყვიან, სამომავლოდ რა საქმე დაევალება კლუბში იოჰან ბოსკაშს.

ესეც შევიტყვეთ: ბოსკაში თბილისელებთან იმ შემთხვევაში იმუშავებს, თუ ის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დანიშნება. იმასაც ამბობენ, ბოსკაში ამ ეტაპზე არ დანიშნება უმაღლესი დივიზიონის „თბილისის“ მწვრთნელად. იქ მწვრთნელი ვიორჯი დემურაძეა და მისი მუშაობით კმაყოფილები არიან.


რაკი ბოსკაში „თბილისში“ წასვლას აპირებს, არ იფიქროთ, ქართული ფეხბურთისკენ მომზირა-

ლი ინვესტორებიც ვინდა თუ არა ამ კლუბისკენ გაიხედო. უცხოელი ინვესტორები ისევ თბილისის „ლოკომოტივზე“ ფიქრობენ და ამ საკითხზე მოლაპარაკება, როგორც გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, მომავალ კვირას მონტე-კარლოშიც შედგება და მათის ბოლოს გელზენკირხენში გაგრძელდება. ინვესტორებმა თუ საქართველოს მთავრობასთან ვერ მოილაპარაკეს და რკინიგზის კუთვნილ საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ აქციები ვერ გაიყვეს, მაშინ ბოსკაშიც „თბილისის“ დარჩება. თუ შეთანხმდნენ და, ბოსკაში ხომ ისედაც „ლოკომოტივის“ მწვრთნელად იყო ჩაფიქრებული.

მოკლედ, ბოსკაში ჯერ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად უნდა დანიშნოს, მერე კი „მეთავსებით“, კლუბშიც იმუშავებს. რომელშიც, ვერ ზუსტად, ალბათ, არც ბოსკაშია იცის.

კობა ინასარიძე

# მოგვებით ჰოლანდიელი თბილისს ბოსკაში იმიტომ უნდა, რომ ბოსკაშია



გადამრეკლამის ფოტო

**უპეიტარია**  
სუპერლიგა XXIX ტურნი

**გაგალი 2:0 ვილი**  
გარბაშვილი 1:5 სარვატი  
სანტ გალანი 2:0 აარაუ  
თუნი 3:0 იანა პოინი  
დავითაძე 4:2 ტიურინი

**ჩაბეტი**  
თანის მართხაძე-მინალი  
პრეზერაში 1:3 სპარტა  
შიკლაპა 1:0 ტაპალიცა

**გოტლანდია**  
პრემიერლიგა  
გალაღმკული მატჩი  
მოზარული 1:0 დანფარმაინი

საპარტაოლო ჩემპიონატი  
 15 ტურში 5 ტურში

# ახალი ემიგრაცია: სწორი ემიგრაცია

ეროვნულ ჩემპიონატში სატურნირო ვითარება ტურნირის დასრულებამდე იძაბება და თითოეულ მატჩს უკვე დიდი ფასი დაედო. ჩემპიონობის მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი ერთბაშად ოთხ გუნდს აქვს და ამიტომაც, ერთი რომელიმე მატჩის გამორჩევა ძნელიცაა, თუმცა დღევანდელ „სიონ“ — „თბილისს“ სხვებზე მეტი ინტრიგა და ინტერესი ახლავს. „სიონი“ ლიდერია, უკვე ამბიციურიც, თუმცა მადა გაეხსნა თამაშ-თამაშ წამოჩივრულ ახალგაზრდულ „თბილისსაც“ და დაძაბულობა-სანახაობრიობით ბოლნისურმა მატჩმა ეგებ გადასწროს კიდევ ზეექვსეულის ორი თბილისური თამაში.

## ბოლნისი. 16 აპრილი. 17 საათი. თამაზ სტამბანი

### სიონი — თბილისი

**მსაჯეები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაგაძე (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: ზ. ბეტრიაშვილი

**ბიორები ყიფშიძე, „სიონის“ მწვრთნელი:** ერთადერთი ტრავმირებული შალვა ზუჯაძეა. დანარჩენები ჯანზე არიან და მოგების დიდი იმედიც მაქვს. გუნდში საბრძოლო განწყობაა, ბოლო ტურში „დილას“ 4:0 დამარცხებამ ბიჭებს მადა გაუხსნა. თან ხელფას-პრემიები უკვე დარიგდა და უფრო მეტსაც გეპირდებიან. ამ თამაშს გუნდის გარდა მთელი ბოლნისი სულმოუთქმელად ელის.

— „თბილისი“ ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია საქართველოში. ფაქტია, თამაში ურთულესი იქნება. ორივე მეტოქე შემტევ ფეხბურთს თამაშობს და ვეფქრობ, მაყურებელი არ მოიწყენს. ჩვენ კი, ცხადია, მხოლოდ მოგება დაგვაკმაყოფილებს.




## თბილისი. 16 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

### დინამო — დილა


**მსაჯეები:** დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გურჯისტანში), მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

„დინამო“ და „დილა“ სათასო ნახევარფინალის რეპეტიციას გაივლიან, თუმცა, ბუნებრივია, დღეს ერთმანეთთან დასამალი არაფერი ექნებათ. მეორე ეტაპზე ჯერჯერობით ორივე სუსტად თამაშობს, გამორჩევით აღსანიშნავი კი „დინამოს“ ჩავარდნაა, ზედიზედ ოთხი მოუგებელი თამაში რომ დაგროვებია



**ივო შუშაკი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:** „დილასთან“ მატჩი ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მე ზეექვსეულს არ ვყოფ ძლიერ და სუსტ მეტოქეებად, „დილა“ ანგარიშგასაწევი გუნდია. თუმცა ჩვენ ფავორიტები ვართ და მეც და ფეხბურთელებსაც ძალიან გესურს შელახული რეპუტაციის აღდგენა.


დინამოელები ირაკლი ზოიძესა და შოთა კაშიას მოისაკლისებენ. პირველს ვირუსის, მეორეს ტრავმის გამო. დისკვალიფიცირებულია ლადო ახალაია და „დინამოს“ დიდი დანაკლისიც ეს არის.



**ზურაბ სორბუაშვილი, „დილას“ მთავარი მწვრთნელი:** ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არავინ გვყავს, თბილისში უძლიერესი შემადგენლობა მომყავს. დასაკარგი არაფერია და „დინამოსთან“ ბოლომდე ვიბრძობ. ეს მატჩი სათასო ნახევარფინალისთვისაც გამოგადგება — იქაც ზომ „დინამოს“ უნდა ვეთამაშოთ.

— მართალია, ახლა მთელი ყურადღება თასზე გვაქვს გადატანილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონატში რაიმეს დავთმობთ. წინა ტურში ბოლნისის „სიონთან“ ვერ ვივარდეთ. თან მსაჯმაც დიდად იმოქმედა მატჩის შედეგზე. იმედი მაქვს, ზვალ იგივე არ განმეორდება.

— ამბობენ, „დინამოში“ არეული-დარეული სიტუაციააო, მაგრამ ეს ჩვენთვის არანაირი შედეგით არ არის. „დინამო“ „დინამო“ და მოხარული ვიქნები, თუ ქულას მაინც ავართმევთ.



## თბილისი. 16 აპრილი. 18 საათი. ლოკომოტივი

### ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

**მსაჯეები:** ა. მემკვიცი; ზ. მენტეშაშვილი (ორივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მაისურაძე (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: დ. კვინიკაძე

„ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯიას“ ტურის ცენტრალური მატჩი არ ეთქმის, მაგრამ ვიტელებს წინა ტურში „დინამოს“ დამარცხების შემდეგ საჩემპიონო მადა გაეხსნათ, ხოლო რკინიგზელებმა 1:5 წააგეს „თბილისთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრა ღირსების საქმეც უნდა იყოს. დღევანდელმა მეტოქეებმა გუშინ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს

ზამში — გიორგი მიქაძე საამა-ტრიოდ დისკვალიფიცირებულია, ხოლო ტრავმირებულ ზაზა ზირაქი-შვილს ჯერ ვარჯიშიც არ დაუწყია.

**ლასა ნოზაძე, „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი:** „დინამო“ ძველებურად ძლიერი აღარაა, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა გუნდები მომძლავრდნენ. „ვიტ ჯორჯია“ ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია საქართველოში, მაგრამ ტიტულის მოგება ვერ მოახერხა, ახლა კი ნაგის გატეხვას შევეცდებით — წლებულს მართლაც არის ამის შანსი.



**ზაურ სვანაძე, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი:** წინა ტურში ძალიან უსუსურად ვითამაშეთ და დღემდე ვერ გაგვივია, რატომღაც მოხდა ასე. „ლოკომოტივი“ ბრძოლისუნარიანობით კი გამორჩევა, მაგრამ „თბილისთან“ ეს ჩვენ გუნდს აღარ ეტყობოდა და გადაწყვიტეთ, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ გადახალისებული შემადგენლობით ვითამაშოთ. მართალია, „ლოკომოტივს“ ფეხბურთელთა დიდი რესურსი არ აქვს, მაგრამ რაღაც ზომ უნდა ვიღებოთ?! სერიოზული დანაკლისი გვაქვს თავდას-



**მერაბ კოჭლაშვილი, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:** მიმე მატჩი იქნება, რადგან „ლოკომოტივი“ წინა ტურში დამარცხდა და ახლა განსაკუთრებული შემართებით ითამაშებს. თამაში კარგ მიწოდებულ გვიწევს და კარგი ფეხბურთის ჩვენებასაც შევეცდებით. ჩემს ფეხბურთელებს საგანგებოდ ველაპარაკე და შევთანხმდით, რომ ასეთი საჩემპიონო შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩვენი მთავარი კონკურენტი საკუთარი თავია — თუ საკუთარ თავს მოვერევი, მაშინ ჩვენი მოწვევი არავინ იქნება.

## თბილისი. 16 აპრილი. 16 საათი. ოლიმპიკი

### სპარტაკი — ტორკედო

**მსაჯეები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი); ა. კრიჭავაძე (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: გ. დარსაძე

## ფოთი. 16 აპრილი. 16 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ბათუმი

**მსაჯეები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფზ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

## თბილისი. 17 აპრილი. 16 საათი. ლოკომოტივი

### მცხეთა — მერცხალი

**მსაჯეები:** ლ. სილაგაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალაღურაძე (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: ა. მიღჩენკო

I-VI ადგილები	VII-XII ადგილები
სიონი 4 3 1 0 8:2 30	ტორკედო 4 3 1 0 7:3 27
ვიტ ჯორჯია 4 2 1 1 4:1 28	ბათუმი 4 2 0 2 3:4 22
დინამო 4 0 2 2 4:6 27	მცხეთა 4 2 2 0 4:2 18
თბილისი 4 2 2 0 8:3 26	კოლხეთი 4 0 3 1 3:4 15
ლოკომოტივი 4 0 2 2 1:6 19	სპარტაკი 4 1 1 2 2:2 12
დილა 4 0 2 2 0:7 19	მერცხალი 4 0 1 3 1:5 6

ვალერი კაბიტაძის ფოტო

ვერა და ვერ აენყო „როსტოვი“ რატი ალექსიძის საქმე. არადა, ახალ კლუბში რომ მივიდა, ფორმაშიც იყო და ფიზიკური მომზადებაც არ დაეუნებოდა. საქართველოს ნაკრების ბოლო ამხანაგურ მატჩში რატიმ გოლიც გაიტანა, მაგრამ რად ვინდა, მწვრთნელთა გული მაინც ვერ მოიგო.

ოთხშაბათს კი „როსტოვი“ რუსეთის თასის მეოთხედფინალურ მატჩში „ტორპედო-მეტალურგთან“ შინ 0:3 განადგურდა. ამას კლუბის პატრონების ბუნებრივი რეაქციაც მოჰყვა: მთავარი მწვრთნელობიდან ვიტალი შვეჩენკო დაითხოვეს



რატი ალექსიძისა და „როსტოვის“ უფროსობის ურთიერთობაში ბევრი რამ გასარჩევია

# ალექსიძემ საუბინელი ხალხის ფასვლას ელის

— შევჩენკო კი გაუშვეს, მაგრამ უარესები დარჩნენ. მეორე მწვრთნელი შევჩენკოს ჩასწინებდა, რატი არ დაყენო და ისიც მორჩილად უჯერებდა. თუმცა ხანდახან, როდესაც გამოუვალ მდგომარეობაში იყო, თანაც იცოდა, რომ ვარჯიშებზე საუკეთესო ვიყავი, რამდენიმე წუთს მაინც მაძლევდა.

— ესე იგი, შენი ძირითადი დამკვიდრების პერსპექტივა ჯერაც საეჭვოა?

— ასეა, სანამ ამ საშინელ ხალხს საბოლოოდ არ მოაშორებენ, გუნდს არაფერი ეშველება. ახლა კლუბის პრეზიდენტი პირად საქმეებზე უცხოეთშია წასული, ჩამოვა და ალბათ ყველაფერს დალაგებს, მაგრამ

იქამდე ლამის გამაგიჟეს. დღეს კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კრება ჩაატარა, რომლის დასრულების შემდეგ მეორე მწვრთნელმა „როსტორთან“ მატჩის თვრამეტაკაციანი სია გამოაცხადა და მე არ ვიყავი შეყვანილი. მიზეზები არ დაუსახელებია, უბრალოდ, მაგრძნობინა, რომ მის ხელში ხეირს არ უნდა ველოდო.

— „როსტოვის“ ვებ-გვერდზე ეწერა, რომ „ტორპედო-მეტალურგთან“ სხვებზე აქტიური იყავი. რატომღა გამოგვკალეს?

— „როსტოვიმ“ მთელი მატჩის განმავლობაში კარში სულ ხუთჯერ დაარტყა, აქედან სამჯერ მე და ისიც პირველ ტაიმში. მართლ და ვერბოდი და ცდილობდი, რაიმე გა-

მეკეთებინა. შესვენებაზე შევჩენკომ რომ მითხრა, უნდა დავასვენო, ბიჭებიც კი გაოცდნენ. ხომ გეუბნები, რაღაც ხდება...

— იქნებ შევჩენკოს შემცველი აღმოჩნდეს უფრო ობიექტური?

— რა ვიცი, იმედი მაქვს, თუმცა ჯერ არაფერს ამბობენ, ვინ იქნება ახალი მწვრთნელი. ალბათ „როსტორთან“ მატჩის შემდეგ დანიშნავენ ახალ მწვრთნელს.

— ალბათ ნანობ, „დინამოდან“ რომ წახვედი...

— თუ უნდოდათ, იქ არ ვიყავი?! ახლა ყველაფერს შუშაქს აბრალევენ. არადა, ცუდი გუნდი არ ვიყავით და როგორ დაგვეფანტეს...

დავით შარაძე

# აზვეთიას ფეხი ერიის და გული გოლს უბრძნობს

შაბათის რუსული პრემიერლიგის მეექვსე ტური გამოტოვა მიხეილ აშვეთიამ. „სატურნთან“ ქართველი შემტევი „ლოკომოტივის“ განაცხადშიც არ ყოფილა. სათადარიგობა აკმარეს ტრავმამოშუშებულ მალხაზ ასათიანს და რკინიგზელებმაც ქართველების გარეშე იმარჯვეს რამენსკოეში.

გუშინინ კი „ლოკომოტივი“ „შინიკთან“ რუსული თასის მეოთხედფინალში 0:3 დამარცხდა. იაროსლავლში მოსკოველებს აშვეთია არ ჩაჰყოლია. იგი რკინიგზელთა ბაზაზე „ბაკოეკაზე“ დარჩა, რადგან კვირაზე მეტია, დაჭიმულ კუნთს მკურნალობდა და გუშინდა განაახლა ვარჯიში. „შინიკთან“ კი ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა მალხაზ ასათიანმა.

ჯერაც უქმად მყოფ მიხეილ აშვეთიას გუშინ მოსკოვში შევხვდით

— ფეხი „ტორპედო-მეტალურგთან“ საშინაო მატჩში ვიტყინე, ამიტომაც შემცვალეს პირველი ტაიმის შემდეგ. ვფიქრობდი, სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ მეორე დღეს ტკივილებმა შემაწუსა, ექიმმა გამსინჯა და, კუნთი გაქვს დაჭიმული, მითხრა. ექვსდღიანი უქმობა გამომიწერეს, თან სხივებს მიკეთებდნენ. ვარჯიში დღეს დაიწყო და, ბუნებრივია, იაროსლავლში ჩემი წასვლა გამორიცხული იყო.

— გავიგეთ, „ტორპედო-მეტალურგთან“ საშინაო მატჩით კლუბის პატრონთა რისხვა დავიმსახურებოთ...

— გვისაყვედურეს, აბა, რა იქ-

ნებოდა, ხუთ ტურში მხოლოდ ექვსი ქულა ავიდეთ. ოღონდ ფინანსურად არ დავეუფავართ, მეტი პასუხისმგებლობა მოგვთხოვეს და ამან შედეგაც გამოიღო, შაბათს „სატურნი“ დავამარცხეთ, თუმცა რა მოხდა იაროსლავლში ვერაფერს გეტყვით, 0:3-ით მარცხი მართლაც კომარულია სათასო საპასუხო მატჩის წინ.

— ჩემპიონატში გოლი ჯერ არ გავიტანია, ჩანს, ფორმიდან ამოვარდნილი ხარ, ამას ტრავმაც დაერთო, როგორ განწყობაზე ხარ?


— მართლ მე კი არა, მთელმა გუნდმა ჩაავადო საწყისი ტურები. ეს ბუნებრივიც იყო, რაკილა ჩემ-

პიონთა ლიგის დაძაბულობის შემდეგ ძნელია მობილიზება, თუმცა იმედი მაქვს, გუნდი ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს და ეს ჩემს თამაშსაც დაეტყობა. მომავალ ტურში ცსკა-სთან აუცილებლად ვითამაშებ და გული მიგრძნობს, გოლსაც გავიტან. ამაში დარწმუნებული ვარ.

— იქამდე მოასწრებ ფორმის აღდგენას?

— დღევანდელ ვარჯიშზე ექიმიც მაკვირდებოდა, ყველაფერი ნორმალურადაა, ფეხი აღარ მტკივა და ხვალდან სრული დატვირთვით ვივარჯიშებ. ცსკა-სთან მატჩისთვის მწყობრში ვიქნები.

აბატა გვანათლიანი



## საქართველოს ნაჩრები და სხვა ნაჩრები

1	1	ბრაზილია	840
2	2	საფრანგეთი	821
3	3	ესპანეთი	790
4	5	მექსიკა	742
5	4	ჰოლანდია	740
5	6	არგენტინა	740
7	10	გერმანია	735
8	9	თურქეთი	732
9	6	ჩეხეთი	729
10	6	ინგლისი	724
11	12	აშშ	722
11	11	იტალია	722
13	13	კამერუნი	721
14	14	დანია	704
15	15	ირლანდია	702
16	16	ბელგია	682
17	24	ირანი	669
17	17	პორტუგალია	669
19	18	კოსტა რიკა	668
20	22	სამხრეთ კორეა	666
33	33	საბერძნეთი	643
65	63	უკრაინა	534
93	88	ალბანეთი	475
98	98	საქართველო	459
136	136	ყაზახეთი	330

საქართველოს ნაკრებმა ფიფა-კოკა კოლას სააპრილო რეიტინგში ფეხი არ მოიცივალა — ისევ 98-ეა. ჩვენს წინაა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ხუთი მეტოქე — თურქეთი (მე-8 ადგილი), დანია (14), საბერძნეთი (33), უკრაინა (65) და ალბანეთი (93). ერთადერთს, ვისაც ვუსწრებთ, 136-ე ადგილოსანი ყაზახეთია.

ამთვან პროგრესი მხოლოდ თურქეთს ჰქონდა, რომელმაც სორვატიაში ფრით ერთი ადგილით წაიწია. ბოლო ამხანაგურ მატჩებში ალბანეთმა კი იყოჩაღა, მაგრამ ხუთი საფეხურით დაქვეითდა. არადა, ჰანს-პეტერ ბრიგელის „არწივებმა“ ბოლოს შედეგით და ისლანდია დაამარცხეს.

ბობოლათაგან გამოსარჩევი გერმანელთა წინსვლაა. ბელგიასთან 3:0 მოგებამ ისინი სამი ადგილით აანაცვლა და ახლა მეშვიდეზე არიან.


პირველი სამეული კი უცვლელია — ბრაზილია, საფრანგეთი და ესპანეთი.

აბატა შალაგზაძე



Крупнейшая российская букмекерская контора ФОН

Приглашает к сотрудничеству



Откройте контору в своем городе!

Справки по телефонам: +7 095 9045011; +7 095 9045018

Ставки и казино в интернете: www.fonbet.info

# უეფას თასი 2003-2004. მეოთხედფინალი. საასუხო მატჩები



## საინტერესო პრაფერია



კამელ მერიემმა ხავეირ დანტის იუბილუ ჩაუმწარა

„ინტერის“ ტანჯვა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა. ფაკეტის, ძაკერონის და „მაე-ლურჯების“ გულშემატკივრებს ახლა შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ. გუნდს მხოლოდ სერია A და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო... თუმცა რომელ ჩემპიონთა ლიგაზე ვლაპარაკობთ. თუ ასე გააგრძელა, „ინტერნაციონალე“ ეგებ ივნისში ინტერტოტოს გათამაშებაში ვიხილოთ.

სეზონის დასაწყისიდან წვლობდნენ, მწვრთნელიც შეცვალეს, პრეზიდენტიც, ადრიანოც დაბრუნეს, მაგრამ ისე გამოეთიშნენ უეფას თასს, რომ „მარსელს“ გოლი ვერ გაუტანეს.

მატიას ალმეიდა იქადაბოდა, პირველივე წუთზე გაუტანთ „მარსელს“. ამ ტრაბახით რაც გამოვიდა, „სან სირომ“ ტაბლოზე ნახა.

ინტერი (იტალია) 0:1 მარსელი (საფრანგეთი) (2:1)

0:1 მერიემი (74)

ინტერი: ტოდო, ი. კორდობა, გამარა, ხ. ძანტი, ჯანაფრო, ფ. ძანტე, ში 80), კილი გონსალესი, ალმეიდა (ემრე 46), ვან დე მეიდე (რეკობა 55), ხ. კრუზი, ი. მარტინსი

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

მარსელი: ბარტეზი, დ. ფერერა, დოს სანტოსი, ბეიე, პემდანი, ხ. ნდიიე, ფლამინი, ბატლე (მარლე 53), მეიტე, მერიემი, მიდო (ვახოშუევი 83)

მწვრთნელი: ჟოზე ანიგო

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

36 044 მაყურებელი

პირველი მატჩის შემდეგ ალბერტო ძაკერონიმ თქვა, მილანში „ინტერი“ თავის ნამდვილ სახეს აჩვენებსო. აჩვენა კიდევ „მაე-ლურჯების“ დღევანდელი სახის ფერი მათი მაისურის ფერია.

ერთ-ერთ მარსელელ მცველს, რომელმაც თავის გუნდის დაცვაში კარგი თამაში იწარმატა, ნატავრა ასი პროცენტით აუხდა.

სტუმრები უვიერო „ინტერის“ შეტევებს გამართულად გაუმკლავდნენ და არ გაუშვეს, თავად კი კამელი

მერიემის კოხტა გოლით იმარჯვეს. მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შენაგარდებულმა მერიემმა ტოდოს შორეულ კუთხეში გაუტანა.

ხავეირ დანტისთვის „მაე-ლურჯი“ მაისურით გამართული ეს მატჩი მე-400 გამოდგა და იუბილუ ჩაუმწარა.

ჩვენ მოუვებ „ლივერპულს“ და „ინტერს“, ამიტომ ვფიქრობ, რომ ფინალში გასვლაც შეგვიძლია — თქვა გამარჯვებული გუნდის მწვრთნელმა იოსე ანიგომ.

ნიუკასლი (ინგლისი) 2:1 ბსპ ინფორმაციი (ჰოლანდია) (1:1)

1:0 შირერი (9), 1:1 კეჟმანი (52), 2:1 სპიდი (66)

ნიუკასლი: გივენი, ა. პიუზი, ვუდეტი, ბრამბლი (ობრაინი 78), ბერნარი, ამბროზი (ამეობი 81), ჯენასი, სპიდი, რობერი (ვიანა 90), შირერი, ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

ბსპ ინფორმაციი: ვატიერუსი, ბოგელუნდი, კოლინი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი (ვონლანტენი 76), ჯ. დე იონგი, რომედალი (ვენეგოორ ოფ ჰესელინი 46), კეჟმანი, პარკი

მწვრთნელი: გუს ჰიდინგი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მესუტო გონსალესი (ესპანეთი)

50 083 მაყურებელი

ოთხის გატანა კიდევ შეეძლო.

გუს ჰიდინგმა მისავათებული დენის რომედალი იან ვენგოორ ოფ ჰესელინი შეცვალა და მეორე ტაიმში ჰსვ-ს თამაში გაუმჯობესდა. სტუმრებმა პენალტი მოინადირეს, რომელიც მატიას კეჟმანმა გამოიყენა. სერბი იქადაბოდა, მატჩში პირველ გოლს შევაგდებო. ვერ შეძლო, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა.

ჰსვ შეგულიანდა და შეუტია, მაგრამ „ნიუკასლის“ დაცვა შეუვალი იყო. დაახლოებით თხუთმეტი წუთის განმავლობაში შეხვედრა ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა და მასპინძლებმა მეორე გოლი გამოიჩინეს. გარი სპიდი, შირერის მსგავსად, თავური დარტყმით შეაგდო.

„მე ხომ მოხუცი ვარ და გოლებიც „ბებრებმა“ შემომამეველეს. შირერმა და სპიდმა თავისი საქმე ფრიალზე იციან“ — თქვა 71 წლის ბობი რობსონმა.

„ნახევარფინალში გასვლა მსურდა, მაგრამ რაკი ჰსვ-ს ყოფილმა მწვრთნელმა გვაჯობა, მას ფინალში თამაშს ვუსურვებ“ — განაცხადა გუს ჰიდინგმა.

პალენსია (ესპანეთი) 2:1 გორდო (საფრანგეთი) (2:1)

1:0 პელეგრინო (52), 2:0 რუფეტი (60), 2:1 დეიუარდო კოშტა (72)

პალენსია: კანსარესი, კურო ტორესი, პელეგრინო, დ. ნაგარო, გარიდო, რუფეტი, ალბუ (აბილილი 70), ბარახა (მარჩინა 56), კანოზი (ზუან სანჩესი 79), ანგულო, ხისკო

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი


გორდო: რამე, ბასტო (პაულუ მირანდა 85), პლანუსი, კანერია, აფანუ, დეიუარდო კოშტა, ფრანსია, სელადაესი, რიერა, დევიდო (ფრანკო 66), ფინდურო (პაულუ კოშტა 70)

მწვრთნელი: მიშელ პავონი


მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

40 000 მაყურებელი

## გეგმერი თავგებო



კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ალან შირერი უხვდება და თავით კარში აგზავნის. შირერს ასეთები თავის კარიერაში ოხრად გაუტანია, ჰსვ-სთან მატჩის დასაწყისშიც იგივე გააკეთა და „ნიუკასლი“ მალე დააწინაურა. სწრაფად გაშვებულმა გოლმა



სტუმრები ისე მოშალა, რომ პირველ ტაიმში კარში ხეირიანად ერთხელაც ვერ დაარტყეს.

მასპინძლებმა მრავლად სახიფათო მომენტები შექმნეს, მაგრამ მათი აღწერით ქალაქს არ გადავტვირთავთ. მხოლოდ ის ვთქვათ, რომ შესვენებამდე „კაკაკაკებს“ სამი-

## ბიჭები ინტერტოტოდან

მარტინ ონილმა ორი წელიწადი იწვალა, მაგრამ „სელტიკს“ უეფას თასი ვერ ჩაახუტა. შარშანდელი ფინალისტი ამჯერად მეოთხედფინალიდან დაითხოვეს.

ფრანსისკო გარსია პაკიტოს გუნდში რიკელმე, ანდერსონი და ხოსე მარი ჰყავს. არანაკლები ბიჭები, ვიდრე ლარსონი, ჰარტონი და სატონი არიან. ამ სამეულიდან მარტინ ონილს (უკვე რამდენი თვეა) მხოლოდ ლარსონი შემორჩა, რადგან ჰარტონი და სატონი ტრავმირებული იყვნენ. ჰოდა გარსია მართალი კაცი აღმოჩნდა, როცა „ვილიარვალს“ ფავორიტობა უწინასწარმეტყველა.

ისე ავიხდეთ ყველაფერი, როგორც პაკიტოს ნათქვამი ახდა. მასპინძლებმა „სელტიკს“ გლაზგოური სცენარი შესთავაზეს — შეხვედრის დასაწყისშივე გაუტანეს.

სელტიკელებმა პირველ მატჩში,

ვილიარვალი (ესპანეთი) 2:0 სელტიკი (შოტლანდია) (1:1)

1:0 ანდერსონი (6), 2:0 როხერი (68)

ვილიარვალი: რენა, არუაბარენა, კოლოჩინი, ბალესტეროსი, ბელეტი, ხოსი-კო, ბატალია, როხერი, რიკელმე, ს. ანდერსონი, ხოსე მარი (ხავი ვენტა 86)

მწვრთნელი: ფრანსისკო გარსია პაკიტო

სელტიკი: მარშალი, აგატი, ბალდე, მაკანამარა, ვალგაერენი, ს. პეტროვი, ლენონი, პირსონი (უოლესი 72), ლ. მილერი (ჯ. სმიტი 72), ლარსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

მსაჯი: მასიმო დე სანტოსი (იტალია)

23 000 მაყურებელი

მსგავს შემთხვევაში გათანაბრება მოახერხეს, მაგრამ ამჯერად უკვე ვერაფერი გააწყვეს. მათ მცდელობა არ დაუკლიათ და ჩვეულად იბრძოდნენ, თუმცა მხოლოდ ერთი-ორი საკლდე მომენტის გამოუყენებლობით შემოიფარგლნენ.

დაცვაში კარვად მოთამაშე მასპინძლებმა მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და სონი ანდერსონის პასით როხერმა მარშალს ახლოდან გაუტანა.


შარშან „სელტიკს“ უეფას თა-

სის ყველა გასვლით მატჩში გოლი გაჰქონდა, რაც ამ სეზონში ვერ შეძლო და შედეგად შესაბამისი მიიღო.

მარტინ ონილი: „ვილიარვალმა“ ნახევარფინალისტობა ალალად დაიმსახურა და უულოცავ ამ გამარჯვებას“.

ფრანსისკო „პაკიტო“ გარსია: „მსგავსი წარმატებისთვის გუნდს არასოდეს მიუღწევია და ახლა ფინალზე ვიფიქრობთ“.

მას ხუციფილი



## რუფებავს ფასტივალი

ძირითადი შემადგენლობის განახევრებამ „ბორდოს“ შანსიც გაანახევრა და „მესტალიაზე“ მოსალოდნელი მოხდა.

სტუმრებმა თავისი მაინც სცადეს და შეხვედრის დასაწყისშივე მეტოქეს „ფეხზე დაასხდნენ“. „ვალენსიასთვის“ სივრცის შეზღუდვა ილილ საქმე არაა, რადგან ბენიტესის შევირდები ამ ხერხს სხვებზე უკეთ თვითონ იყენებენ.

„ბორდომ“ პრესინგით მხოლოდ კარის მშრალად შენახვა შეძლო, მაგრამ შეტევაში დასუსტებული არც კანისარესი შეუწუხებიათ.

სტუმრებს გოლი სჭირდებოდათ და მეორე ტაიმის დასაწყისში გაიხსნენ, რითაც „ვალენსიამ“ ისარგებლა. რუფეტეს პასით პელეგრინომ ანგარიში გახსნა, მოგვიანებით კი თავად რუფეტემ ანგულოს ჩაწოდებული ბურთი შეაგდო კარში.

მასპინძლებმა სასურველს რომ მიღწიეს, საკუთარ ნახევარზე გადაინაცვლეს და დარჩენილ დროში ძირითადად „ბორდოს“ იერიშებს იგერიებდნენ.

ფაქტობრივად, იმედგადაწურულმა ფრანგებმა ლალად შეუტყეს და მატჩის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე ერთი გოლი გაქვითეს. პაბლო ფრანსიამ საჯარიმო დარტყმა შეასრულა, ბურთი მცველებს გადასცდა და ძელთან ეუღლად დარჩენილ კოშტას გატანა არ გასჭირვებია.

„ვალენსია“ ნახევარფინალში „ვილიარვალს“ შეხვედრა, რაც რაფაელ ბენიტესმა ესპანური ფეხბურთის წარმატებად მიიჩნია. „ის ფაქტი, რომ გუნდი ინტერტოტოდან უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა, მის სიძლიერეზე თავისთავად მეტყველებს“ — დასძინა მასპინძელთა მწვრთნელმა.

## ნახევარფინალი

ნიუასლი — მარსელი

## ვილიარვალი — ვალენსია

პირველი მატჩები — 22 აპრილი. საპასუხო მატჩები — 6 მაისი

### მსკანეთი

პრიმერადივიზიონი  
გადაღებული მატჩი

პეტინი 1:1 ბარსელონა

0:1 სავილა (5), 1:1 ალფონსო (34)

სავილამ ვერ გაიტანა  
პენალტი (5, მეკარე)

პეტინი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ლემბო, ლივასი, ტაისი, იტო (არზუ 79), ბენზამინი, სოაკინი, დენილსონი (ფერნანდო 75), ალფონსო (ტოტი 80), დანი

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

ბარსელონა: ვ. ვალდესი, რაიციგერი, კოკუ, ოლეგერი, ვან ბრონკორსტი, დევიდსი (მარკესი 59), მოტა (ხერარდი 18), ხავი, ინისტა, ლუის გარსია (რუშო 33), სავილა

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ვან ბრონკორსტი, ხერარდი, დენილსონი, მარკესი, ლუის ფერნანდესი, ხერარდი


გაძევება: ვალდესი (33), ხერარდი (90)

მსაჯე: ლიზონდო კორტესი

40 000 მაყურებელი

ოთხშაბათს „ბარსელონამ“ მძვრით მეთოთხმეტე მატჩი ჩაატარა წაუგებლად, მაგრამ ამ ჯერზე ქულის მოპოვებით კმაყოფილება ვერ განიცადა. „ბარსა“ სველიაში სამი ქულის ასაღებად იყო ჩასული და ფრე არაფრით აწყობდა — კატალონიელთა ოთხეულში დარჩენას არაფერი ემუქრება, დასაწინაურებლად კი მხოლოდ მოგება სჭირდება.

## ნაწვიმარი ქულა



მატჩის დასრულება არც ხერარდს (მარჯვნივ) დასცალდა

ჩენას არაფერი ემუქრება, დასაწინაურებლად კი მხოლოდ მოგება სჭირდება.

მატჩი, რომელიც თავის დროზე თავსხმა წვიმის გამო გადაიდო, „ბარსასთვის“ უკეთესი რომ არ იქნება, ისე დაიწყო. ბეტისელმა მცველმა დანიელ ლემბომ ხავიერ სავილას საჯარიმოში წააქცია და

პენალტიც დაინიშნა. დარტყმა სავილამვე იკისრა და მართალია, თავისიანები ცოტა აანერვიულა, გოლი მაინც გაიტანა — არგენტინელის დარტყმული ტონი პრატსმა მოიგერია, მაგრამ სავილამ დამატებაზე ივარგა.

საპასუხო გოლი მასპინძლებმა ნახევარ საათში გაიტანეს და ეს ეპი-

ზოდი ვინძლო, კიდევ დიდხანს იცოს მსჯელობის საგანი. მსაჯმა კატალონიელთა მეკარე ვიქტორ ვალდესი გააძევა და პენალტი დაინიშნა, რომელიც ყოფილმა ბარსელონელმა ალფონსო პერესმა გაიტანა. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რისთვის გააძევა მსაჯმა მეკარე და რატომ დაინიშნა თერთმეტმეტრიანი.

მასპინძლებმა კუთხური ჩააწოდეს, საჯარიმოში რაიციგერი და დანი ერთმანეთს შეაკედნენ, ვალდესმა კი ბურთი მოიგერია და ბარსელონელთა კონტრშეტევაც დაიწყო. ამ დროს თანამსაჯმა ალაში ასწია. არბიტრმა ჩასტვინა, თამაშში შეაჩერა და თანამსაჯთან მიიბრინა, რომელთან თათბირის მერეც ვალდესს წითელი ბარათი აუფრიალა და პენალტი დაინიშნა. სატელევიზიო გამორებაზე კარგად ჩანდა, რაც მოხდა: კუთხურის ჩაწოდებისას რაიციგერი და დანი რომ შეაკედნენ, დანიმ ბარსელონელს წიხლიც მიაყოლა, მერე კი მინდორზე თავად გაიშლართა, აქაოდა, დამჩაგრესო. წაქცეულთან ვალდესმა მიიბრინა და ხელი ჰკრა.

მეკარის მოძრაობა აშკარად იმას მიუთითებდა, ნუ სიმულაირებო, დროზე ადექიო. თანამსაჯმა ეს თავისებურად კიკი და ორბიტრს უთხრა.

დარტყმული ბურთი დაწმინაურებოთ ორივე გუნდს შეუძლო, სტუმრებმა ბურთი ძელს გაარტყეს, მასპინძელთა ერთი დარტყმული კი მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. მოკლედ, მეტი გოლი ამ თამაშში აღარ გასულა.

### კოტე კამალია

ვალენსია	32	21	6	5	63:21	69
რეალი	32	20	7	5	64:39	67
დებორტივო	32	18	6	8	52:30	60
ბარსელონა	32	17	9	6	52:34	60
ოსასუნა	32	11	15	6	35:27	48
ბილბაო	32	13	9	10	42:40	48
ატლეტიკო	32	13	9	10	39:39	48
მალაგა	32	14	4	14	44:45	46
სევილია	32	11	9	12	40:36	42
ვილიარეალი	32	11	8	13	39:42	41
ბეტისი	32	9	13	10	39:37	40
სოსიედადი	32	10	9	13	37:43	39
რასინგი	32	10	9	13	42:51	39
სარაგოსა	32	10	8	14	36:42	38
ალბასეტე	32	10	7	15	34:30	37
ვალადოლიდი	32	9	9	14	38:47	36
მალიორკა	32	10	6	16	39:57	36
ესპანოლი	32	9	4	19	35:54	31
სელტა	32	6	12	14	40:59	30
მურსია	32	3	11	18	25:50	20

## რაიციგერი და სოფილი მსაჯები

კატალონიური „ბარსელონა“ პრიმერადივიზიონის გადაღებულ მატჩში სველიურ „ბეტისთან“ არბიტრმა ლიზონდო კორტესმა ფრიად აზარალა — მსაჯმა მოედნიდან სტუმართა მეკარე ვალდესი და ხერარდი გააძევა, რითაც შესანიშნავი შანსი მისცა ანდალუსელებს, ნასაგებად განწირული მატჩი გადაერჩინათ. ვალდე-

სის გაძევებას ასევე უსამართლო პენალტი მოჰყვა და ბეტისელმა ალფონსომ ანგარიში გაათანაბრა. სწორედ ამ ეპიზოდზე საუბრით დაიწყო ესპანურმა „ლიბრედირეკტომ“ ინტერვიუ „ბარსას“ მცველ მიხაელ რაიციგერთან, რომელიც კორტესის შეცდომის დროს ვიქტორ ვალდესთან ყველაზე ახლოს იმყოფებოდა.

— შეგიძლიათ, აგვიხსნათ, რა მოხდა პენალტის დანიშვნის დროს?  
— ჯერ ერთი, საჯარიმო „ბარსას“ სასარგებლოდ უნდა დანიშნულიყო, თუმცა არბიტრმა თამაშში არ შეაჩერა. იმ ეპიზოდში კი არაფერი დამინახავს — მეტოქის ფეხბურთელთან შეჯახების მერე მინდორზე ვიწქევი. ამბობენ, რომ ვიქტორმა დანის ხელი უბიძგა.  
— დანი მანამდე გუუხეშებოდათ. გამოდის, რომ წესით და რი-

გით, სწორედ ანდალუსიელი უნდა დაესაჯათ...  
— დიას, მაგრამ რახან ბურთი „ბარსელონას“ დარჩა, კორტესმა ჯარიმა არ დანიშნა. ბეტისელი წესს იქამდე არღვევდა და მას შემდეგაც, თუმცა მსაჯს ეს არ შეუნიშნავს. საერთოდ, „რუსი დე ლოპერაზე“ უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით, არბიტრის შეცდომებისა და უიღბლობის გამო თითქმის მოგებული თამაში ფრედ დავამთავრეთ.

— ვალდესი გასაძევებელი იყო?  
— კერაფერს გეტყვით, ყველაფერი თანამსაჯის არაკომპეტენტურობის ბრალია — მოეჩვენა, რომ ჩვენი მეკარე მოწინააღმდეგის მიმართ გადაძებულად აგრესიული იყო. აი, ის პირველი წვის დარღვევა რომ დაეფიქსირებინათ, დღეს სადავო და საკამათო აღარაფერი იქნებოდა.  
— „ბარსას“ სამსახურში გვამებზეც ვთქვით. კატალონიური



მიხაელ რაიციგერი და ხავიერ სავილა

გრანდი პრიმერას მოგებისთვის ბრძოლას შეძლებს?  
— ძალიან ძნელია, თუმცა ფარხმალის დაყრას არ ვაპირებთ.  
— 2003-04-ის სეზონში მსაჯები ნამდვილად არ გწყალობენ — „ბარსელონას“ უკვე 16 მობურთალი გაუძევეს...  
— მართალს ამბობთ. ეს ნამდ-

ვილად დიდი რიცხვია.  
— „ვალენსიასთან“ ცხრა ქულა გამოვართ. თქვენი აზრით, ძალიან რთულია ამ სხვაობის გაბათილება?  
— თითოეულ მატჩს ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, კვირას „მალაგასთან“ უნდა მოვივით.



## პრეზიდენტის პორტი

კსშ-ს პრეზიდენტი ფრანსის გრაიე გუმინწინ კინადამ გაიტაცეს. დაახლოებით დღის ოთხ საათზე პრეზიდენტი ოთხი წლის ვაჟთან ერთად ლიონის გარეუბან ვილურბანში იმყოფებოდა. გრაიე და მისი შვილი მძღოლითურთ „პორშეში“ ჩასხდნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ. ამ დროს ორი ყჩაღი ავტომობილს ეცა, მძღოლი გადმოაგდეს, ერთ-ერთი საჭეს მიუჯდა, მეორე გვერდზე მიუსკუპდა და ოთხთვალა გააქანეს.  
ყჩაღებმა მანქანაში ბავშვი რომ ნახეს, მალევე დაამუხრუჭეს და ჩამოსვეს. პრეზიდენტი კი მათ ხელდახელ შეება, თუმც მობლაღებმა ისიც ჩააგდეს, მერე კი მოუსვეს.  
მომზდარით გაოგნებული ფრანსის გრაიე და მისი ვაჟი მოგვიანებით ჰოსპიტალში მიიყვანეს, საიდანაც მან კლუბის ოფისში დარეკა და აცნობა, მამა-შვილი ჯანმრელობას ვუჩივითო.  
პოლიციამ ცხელ კვალზე ჯერჯერობით კერაფერს მიაგნო.

გაბა ხუციფილი



## ვაბნერს უპიღთვიანუი უშვაბან

ვიზოს „სელტას“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ვაგნერს შვიდი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.  
შემთხვევა, რომელიც 2001 წლის ოქტომბერში მოხდა, გამოიძიეს და ფეხბურთელის სასამართლო ახლავა შედგა.  
ვაგნერისთვის ავადსახსენებელ ოქტომბერში, „ვალენსიასთან“ მატჩის წინ, საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ ადგილზე შესვლა სცადა. ფეხბურთელი თან მობილურზე ლაქლაქებდა და პოლიციელების თხოვნას, უკან გაბრუნებულიყო, ყური არ უგდო. ფეხბურთელს ერთ-ერთი ოფიცერი ისე შემოელანა, რომ ნაცემი თვენახევრის განმავლობაში სამკურნალო გახდა და მუშაობა ვეღარ შეძლო.  
ვაგნერს 3470 ევროს გადახდაც მოუწევს, ის კი უცნობია, აპირებს თუ არა ბრაზილიელი გასაჩივრებას, ან როდის და სად მოიხდის სასჯელს.

გაბა ხუციფილი



# ანტონოვი ან ოპერანია ინტაში ფეხბურთის მარტინს ჩაუბანა

ფილიპო ინტაში მარტინს ფეხბურთის ტრავმის გამო მარტინსა, ერთი კვირის განმავლობაში ვერ ივარჯიშებს, მაგრამ შესაძლოა ამითაც ვერ გამოძვრეს და საოპერაციო შეიქნას. რაც შეეხება „კიევის“ მოთამაშე ლუსიანოს, მისთვის სეზონი დამთავრებულია.

დავიწყეთ ინტაში „მილანის“ ფორვარდს, რომელსაც მიმდინარე სეზონში ხშირად აწუხებდნენ ტრავმები, ახლა ცნობილია სპეციალისტმა, პროფესორმა მარტინსმა უნდა უშველოს. პროფესორ მარტინსთან შესახვედრად ინტაში ბელგიაში, ანტვერპენში გაფორმდა. ცნობილია, რომ პრობლემა მარტინს ფეხის ძვალთან არის დაკავშირებული და გარდა ამისა, კოჭის გარშემო ტკივილს გრძობს.

ზოგადად, როგორც ამბობენ, სერიოზული არაფერია, მაგრამ ექიმებმა ერთკვირიანი სრული დასვენება ბრძანეს და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ისიც დასძინეს, რომ შესაძლოა, ინტაში საოპერაციო შეიქნას.

„მილანის“ ექიმი ჟან-პიერ მერსემანი: „თუ იგი საოპერაციო იქნება, ვფიქრობ, ოპერაცია სეზონის ბოლოს უნდა გაკეთდეს“.

ერთი სიტყვით, ინტაში ახლა „სიენასთან“ ნამდვილად არ უნდა ითამაშოს და ის კი არა, ერთი კვირის შემდეგ შესაძლოა „უდინეზეს“ წინააღმდეგაც არ მოუხდეს მოედანზე გასვლა. რაც შეეხება ოპერაციას, ეს, ფორმიდან ისედაც ამოვარდნილი თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი საქმე იქნება, რამეთუ დიდი შანსია, ევრო 2004-ის გამოტოვება მოუხდეს.

ხოლო ლუსიანოზე საუბრისას ყოველგვარი „ალბათ“ და „დიდი შანსია“ უნდა ამოვადლოთ მეტყველებიდან — მას მარჯვენა მუხლზე ჯვარედინი მყესი გაუწყდა. თავიდან ექიმებს ეგონათ, რომ მყესი უბრალოდ გაჭიმული იყო, მაგრამ ტესტებმა ცხადდევს, რომ საქმე გაცილებით სერიოზულადაა, ბრაზილიელს ექვსთვიანი მკურნალობა დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ ლუსიანოს ამჯერად იტალიაში ზურგი აქცია. ჯერ ერთი, „ინტერში“ გატარებული საშინელი პერიოდის შემდეგ მოედანს და ფეხბურთს რის ვაივავალაზით დაუბრუნდა და ახლა ამ ყველაფერს ზემოდან ტრავმა დაერთო.

ბაკუნა კედი



გაეტანო დაგოსტინოს (მარჯვნივ) ადგილს უცვლიან

# დაგოს ახალი როლი

„რომას“ მწვერთელმა, ფაბიო კაპელომ ახალგაზრდა გაეტანო დაგოსტინოს შეიძლება უკანა გამთამაშებლობა დააკისროს და თუ ეს მოხდება, სავარაუდოდ, ახლავე, ამ ტურში. საქმე ის გახლავთ, რომ კაპელოს შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, რის გამოც იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრს დაახლოებით იმ ჭაპანის გაწევა მოუწევს, „მილანში“ ანდრეა პირლო რომ სწევს.

„რომას“ „მოდენასთან“ შეხვედრაში არ ეყოლება არც ემერსონი და არც ოლივიე დაკური, ხოლო კიდევ ერთი ახალგაზრდა, დანიელე დე როსი ჯერ უცნობია, შეძლებს თამაშს თუ ვერა.

კაპელომ დაგოსტინო ახალ როლში ოთხშაბათს, ვარჯიშზე გასინჯა. მოგეხსენებათ, „ბარის“ ყოფილი მოთამაშე ჩვეულებრივ ორ თავდამსხმელს უკან ან მარცხენა ფრთაზე გამოდის ხოლმე.

ერთი სიტყვით, „სტადიო ბრალიაზე“ მოსალოდნელია კაპელომ „რომა“ 4-4-2 ვანლაგებით ათამაშოს და ნახევარდაცვაში მანსინი, ტომაზი, დაგოსტინო და ლიმა დაასაქმოს.

ბაკუნა კედი

# ბენფიკა მამაყმა და სიენაზე ფიქრობს

„მილანის“ მცველი როკე ჟუნიორი „ბენფიკაში“ აღარ გადდის, პირობებზე ვერ შეთანხმდა, არადა მანამდე იტალიური გაზეთები ინტენსიურად წერდნენ, რომ ამწუთას „სიენაში“ გასესხებული სტრატეგი უეჭველად გადადიოდა პორტუგალიაში.

„ეს მართალი არ არის — იჩქარა ჭორების გაბათილება ფეხბურთელის აგენტმა ალესანდრო ლუჩიმ — მეტიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რაიმე მოლაპარაკებები არც ფეხბურთელს და რომელიმე კლუბს შორის არ გამართულა.“


მაგრამ „ბენფიკას, როგორც ჩანს, მართლა ძალიან სურს მსოფლიოს ჩემპიონის გადაბირება. ყოველ შემთხვევაში ლუჩი აღიარებს, რომ პორტუგალიელებმა ადრე გამოიჩინეს ინტერესი.

„იანვარში ნამდვილად სურდათ მისი ყიდვა, მაგრამ როკეს უკვე „სიენასთვის“ ჰქონდა პირობა მიცემული. ახლა ჩემი კლიენტი იენისამდე არსად წავა, „სიენაში“ ითამაშებს, საიდანაც „მილანში“ დაბრუნდება. „მილანთან“, კონტრაქტის თანახმად, მას კიდევ ერთი წელიწადი აკავშირებს. სხვა ამბავია, რომ როკესთვის „ბენფიკას“ ინტერესი დიდი პატივია, მაგრამ, ვიმეორებ, ამწუთას იგი მხოლოდ „სიენას“ პრობლემებზე ფიქრობს.“

„სტუ-ჯეოსელმა“ ბოლო ორი მატჩი უბრძოლველად რომ დათმო, ეჭვი გამოეთქვით, ტექნიკოსებს სურთ, რეგულარული ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე ჩამოთავრონ ანუ პლეი ოფის ნახევარფინალში „დინამოს“ ასცდნენო. გუშინ გამოჩნდა, რომ ეს ვარაუდი სამართლიანი ყოფილა — სტუ ცხრილში უფრო დაბალ ადგილს ანუ ნახევარფინალში მეტოქედ თბილისში გადმოსახლებულ უხელფასო „ბასკოს“ უმიზნებდა.

იგივე სურდა ცხრილში სტუ-ს მეზობელ ტსუ-საც, რომელიც გუშინ „მაკაბის“ ხედებოდა. სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის წაგება ადვილად ხელს, რათა ტექნიკოსთათვის არ გადაესწროთ. რომ მოგვით, სტუ რუსთავში წაგებით „ბასკოზე“ გავიდოდა. ტსუ-ს კი ბათუმლები სათავისო მეტოქედ უნდოდა და „მაკაბის“ — ამ სიტყვის არ მოგვერიდებოდა — მისცა თამაში. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, სტუ უფრო „გონივრულად“ მოიქცა. უყურეს, უყურეს და რომ დარწმუნდნენ, ტსუ

„მაკაბისთან“ აგებსო, ტექნიკოსებმა დარბაზი დატოვეს ოღონდ ისინი რუსთავში არ წასულან სათამაშოდ, ალბათ სახლისკენ გაუტყეს.

ეროვნული ჩემპიონატის დებულეზაში წერია — თუ გუნდი დანიშნულ დროს სათამაშოდ არ გამოცხადდება, 0:20 წაგება ეთვლება, 0 ქულა ეწერება და 1000 დოლარით ჯარიმდება. სტუ-მ ჭკუა იხმარა, რუსთავში არ წავიდა და წაგებისთვის დასარიცხი ქულა, რომლითაც ტსუ-ს გადაუსწრებდა, აღარ შეიძაბა. ამ ტაქტიკურ სვლას არც ჩემპიონატის ტექნიკოსები, უფროსობამ ასე გადაწყვიტა, ნახევარფინალში „დინამოს“ ნაცვლად „ბასკოსთან“ თამაში გეიჯობსო და 1000 დოლარსაც დაუნანებლად გადავიხდით რუსთავში არ გამოცხადებისთვის.

ვთქვით, სტუ-მ მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა ცხრილში განზრახ ჩამოქვეითების საქმეში, მაგრამ იგივეს გაკეთება ანუ „მაკაბისთან“ არგამოცხადება ტსუ-საც ზომ შეეძლო? აქ საქმე ისაა, რომ ტსუ-ს ფინანსური პრობლემები აქვს, მოთამაშეებისთვის ხელფასების დარიგება უჭირს და სანახევარფინალში მეტოქის შეცვლაში 1000 დოლარსაც ვერ გადაიხდოდა. ასეთ ნახევარად სახუმარო ფრაზასაც მოვკარით ყური: ტსუ-ელებს ტექნიკოსთათვის უთქვამთ, ვე ფედერაციამ წასალები საჯარიმო ფული ჩვენითვის მოგვცათ, „მაკაბის“ ბღვირს ვადენდით და რუსთავშიც მშვიდად წაზვიდოდით წასაგებადო.

მოკლედ, გუშინ ქართულ კალათბურთს ერთი სამარცხენიო დღეც გაუთენდა... აბა, სხვა რა უნდა ვუწოდოთ იმას, მაყურებელი ადევნებული რომ დატოვებს დარბაზს, ამათ, ბიძია, თამაში არ სდომებიან, რას დალაყუნობენ მოედანზე,

თუ ხედავო... შემდეგ საქმის არსი რომ გაიგო, არაერთი ქომაგი აღელვებული გაცალა ვერის ბალს. ტსუ — „მაკაბის“ ცქერას მართლაც არ ჰქონდა აზრი.

ამ ვითომ მატჩის შემდეგ ჩემპიონი „დინამო“ უსუსტეს სსუ-ს შეხვდა. და ეს უთანასწორო ბრძოლა გაცილებით კარგი საყურებელი იყო, ვიდრე ტსუ-ს მიერ დადგმული საქმეა. სოხუმელებს ჯიგარი ეწვოდათ, მოგება სურდათ, მაგრამ მძლავრი მეტოქის დამარცხება ვერ შეძლეს...

ამ „სტუდენტურმა საქმეაქლმა“ ის მოიტანა, რომ ტსუ-ს ცხრილში მესამეობა და ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში „დინამოსთან“ პაექრობა ერგო, სტუ კი ამდენმა წაგებებმა მეხუთე ადგილზე დააქვეითა. მეოთხე ადგილი ერგოთ რუსთაველებს, რომლებმაც ტსუ-სა და სტუ-ს დარად 44 ქულა დააგროვეს და ურთიერთშეხვედრების წყალობით გადაუსწრეს ტექნიკოსებს.

„სტუ-ჯეოსელმა“ საწადელი მანინც აისრულა, ნახევარფინალში „ბასკოს“ შეხვდება, თუმცა... ტექნიკოსებს ჯერ მოედნის უპირატესობის მქონე რუსთაველების დამარცხება მოუწევთ, რაც სულაც არ აქვთ განაღდებული და მერე ხედებიან „ბასკოს“, რომელიც თურმე აქედანვე ემზადება ნახევარფინალის ბათუმში სამაჰსინძლოდ...

### ირაკლი პირტაია

სატურნირო ვითარება	გ	წ	წ	წ	წ
ბასკო	26	24	2	+694	50
დინამო	27	22	5	+627	49
ტსუ	28	16	12	+137	44
რუსთავი	28	16	12	+168	44
სტუ	28	17	11	+284	44
მაკაბი	27	11	16	-112	38
სსუ	28	4	24	-719	32
ქუთაისი	28	0	28	-1079	28



# NBA რეგულარული ჩემპიონატი

14 აპრილი

**ორლანდო 95:89 ფილადელფია**  
ორლანდო: ლუ (17), სტივენსონი (10), ბოგანო (3), ჰოვარდი (26), დეკლერკი (12 ქულა, 11 მოხსნა); გუდენი (10), გენისი (5), პანტერი (5), დიალი (4), იონსენი (3)  
ფილადელფია: სნოუ (2), მაკი (17), სალმონი (11), ტომპსი (18), დალმბერტი (23 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება); გრინი (11), ჰამილტონი (5), კორვერი (2), ბაქერი

**ვაშლინგტონი 90:107 მინესოტა**  
ვაშლინგტონი: გასოლი (16)  
მინესოტა: გარნეტი (26), სპრიუელი (20), კასელი (17), შერბიაკი (17)

**სან ანტონიო 93:67 დენვერი**  
სან ანტონიო: დანკანი (23 ქულა, 16 მოხსნა)  
დენვერი: ენტონი (12)  
ცენტრიონი განაცხადში არ იყო

**პორტლანდი 104:105 ლიკაპრსი**  
პორტლანდი: რენდოლფი (21 ქულა, 18 მოხსნა), ანდერსონი (17)  
ლიკაპრსი: ბრაიანტი (37), ონილი (25 ქულა, 14 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება, 4 ჩაჭრა)

**მაინი 96:84 ნიუ ჯერსი**  
მაინი: კ. ბალდერი (22)  
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (18)

**ბოსტონი 107:102 ატლანტა**  
ბოსტონი: ჯინსონი (24)  
ატლანტა: ჯინსონი (24)

**ვაშლინგტონი 78:94 ნიუ ორლანდი**  
ვაშლინგტონი: ტომპსი (16)  
ნიუ ორლანდი: დევისი (26)

**ნიუ იორკი 90:100 კლივლენდი**  
ნიუ იორკი: მარბერი (27)  
კლივლენდი: მაკინისი (19)

**ინდიანა 101:96 რიკაგო**  
ინდიანა: ჰარნეტონი (22)  
რიკაგო: კროუფორდი (31)

**მილუოკი 87:89 ტორონტო**  
მილუოკი: მისონი (27)  
ტორონტო: კარტერი (23)

**იუტა 84:89 ფინიქსი**  
იუტა: ლოპესი (25)  
ფინიქსი: სტუდემიერი (29)

**ჰიუსტონი 89:92 დალასი**  
ჰიუსტონი: პადჯეტი (18)  
დალასი: დანიელსი (21)

**კლიპერსი 87:118 სიეტლი**  
კლიპერსი: სიმონსი (24)  
სიეტლი: ალენი (26)

**გოლდენ სტიტი 77:91 საპარამენტო**  
გოლდენ სტიტი: რიჩარდსონი (28)  
საპარამენტო: სტოიაკოვიჩი (27)

# დავა არაფრის გამო ქართველებმა ვერ დაამთავრეს

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღისთვის თითქმის ყველა დავა დარეგულირებული იყო და 14 თამაშში ერთი-ორი საინტერესო თუ ამოირჩევა. მხოლოდ ზე კლუბებისთვის ჰქონდა ბოლო თამაშს სატურნირო ინტრიგა — რამდენიმე გუნდი უკეთესი საპლეიოფო ადგილისთვის და იოლი მეტოქის შეხვედრისთვის თუ გამოიღებდა თავს, ეს იყო და ეს.

პლეი ოფს მიღმა დარჩენილთაგან „პორტლენდმა“ მოინდომა კარის გაჯახუნება — „ბლეიზერსი“ 22 წლის შემდეგ პირველად ვერ მოხვდა უძლიერესებში და „ლეიკერსი“ ძლიერ დააპირა გულის მოხება. „ლეიკერსისთვის“ კი სასწორზე დივიზიონში პირველობა და პლეი ოფში პირველ მეტოქედ შედარებით სუსტი „პიუსტონი“ იდო და ბრძოლაც გაჩაღდა.

პორტლენდლებმა გოჯითაც არ დაიხიეს შაკილ ონილის 145-კილოგრამიან მასასთან ჭიდაობაში და გუნდებიც თითქმის ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს მთელი 58 წუთის განმავლობაში. სხვაობა 10 ქულას არ გასცილებია და გამარჯვებულად მხოლოდ მეორე ოვერტაიმში გაირკვა. კობი ბრაიანტმა სამქულიანი თქვა გადამწყვეტი სიტყვა „ლეიკერსის“ სასარგებლოდ. მათმა ამბიციადარბუნებულმა გუნდმა კი „საკრამენტოს“ შედიხედ მეორე მარცხით დრო იხელთა და ორწლიანი შესვენების შე-

მდეგ წყნარი ოკეანის დივიზიონის ტახტი დაიბრუნა. „ლეიკერსი“ პლეი ოფში მეორე ნომრად განითესება და მეშვიდე „პიუსტონს“ დაეჯახება. ამ სერიას ასოციაციის ორი უდიდესი ცენტრის შაკისა და იაო მინგის ჯახი გაახალისებს.

„პორტლენდის“ ქართველი ცენტრი ვოვა სტეფანია კი ექიმებში სიარულში ხვდება თავის მეექვსე სეზონის დასასრულს. ნაოპერაცივმა მუხლამ კარგა ხნის წინ მოსწყვიტა მოედანს.

ჰევი ენდი არც ნიკა ცკიტიშვილს ჰქონდა. ნიკა ჯანმრთელად კია, მაგრამ მწვერთელ ჯეფ ბზდელიკის უნდობლობამ ის „დენვერის“ თორმეტკაცა გუნდიდან ამოაგდო. „დენვერმა“ კი პლეი ოფის წინ ვერ თქვა ომახიანი სიტყვა — ჩემპიონ „სან ანტონიოს“ ვერ შეაწყვეტინა ათმატჩა მომგებიანი სერია.

და ვერც მესამე ქართველმა გაინაგარდა ბოლო თამაშში. ზაზა ფაჩულიას სტეფანიაზე და ცკიტიშვილზე უკეთ მისდის საქმე, „ორლანდოს“ აქტიური წევრია და სათადარიგოთა სკამიდან არცთუ იშვიათად უწყევს ადგომა, თუმცა ბოლო თამაშს ის ბოლომდე მაყურებლად შერჩა. სეზონის უცულებსა გუნდმა კი ალბათ ყველაზე ხმაურიანი ჯახანით გაიკეტა კარი — „ჩიკაგოს“ დამარცხების შემდეგ „ორლანდომ“ უაღვანავერონო „ფილადელფიასაც“ შეჰკადრა ძლიერა.

### კოტე ყოშვია

აღმოსავლეთი	ატლანტიკა	სადასავლეთი	სუპერ-დასავლეთი
ნიუ ჯერსი	47	35	57,3
მაინი	42	40	51,2
ნიუ იორკი	39	43	47,6
ბოსტონი	36	46	43,9
ფილადელფია	33	49	40,2
ვაშლინგტონი	25	57	30,5
ორლანდო	21	61	25,6
ცენტრალური			
ინდიანა	61	21	74,4
დეტროიტი	54	28	65,9
ნიუ ორლანდი	41	41	50,0
მილუოკი	41	41	50,0
კლივლენდი	35	47	42,7
ტორონტო	33	49	40,2
ატლანტა	28	54	34,1
ჩიკაგო	23	59	28,0

მთავრული შრიფტით გამოჩეულია პლეი ოფში გასული გუნდები

მოსახდენი მოხდა. გუშინ, როგორც იქნა, რაგბის კავშირის ყრილობამ ის გადაწყვეტილება მიიღო, რომლისთვისაც წლეულს აგერ უკვე მესამედ შეიკრიბა. ქართულ სარაგბო თემს სათავეში ახალი კაცი ჩაუდგა. ვეტერანმა მორაგბემ, ამჟამად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ მოქმედ პრეზიდენტ ბიძინა გევიძეს დიდი უპირატესობით მოუგო, თუმც თავად გევიძემ არჩევნებს უნდობლობა ჯერ კიდევ დანებებამდე გამოუცხადა

# სარაგბო თემის მთავარი თემა ახალი კაცი ოვალურ კაბინეტში



ქართულ სარაგბო წრეებში თითქმის სამთვიანი გაცხარებული დავისა და გაწვევა-გამოწვევის შედეგად მერაბ ანთაძე რაგბის კავშირის პრეზიდენტია



ეროვნული  
ზიზლიროთიკა

**11 საათისთვის** დარბაზში რაგბიში მოტირალე 70-მდე კაცი შეიკრიბა. ჩვენდა გასაკვირად, მათ შორის მოქმედი პრეზიდენტი და მისი მხარდამჭერებიც იყვნენ. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ დაძაბულობა პიკს მიაღწევდა. პირველი შეხლა-შემოხლა კი ყრილობის დაწყებამდე მოხდა კავშირის მაღალჩინოსანსა და გამგეობის ერთ-ერთ წევრს შორის (მაღალჩინოსნის ავტობიოგრაფია). მალე ყველაფერი ჩაწყნარდა და გამგეობის თავმჯდომარე გუგა გეგენავამ ყრილობა გახსნილად გამოაცხადა. გეგენავას განცხადებით თორმეტი სუბიექტიდან რეგისტრაცია რვათა გაიარა. „ფიზიკის“, „ლოკომოტივის“, „ლელოს“, „ხულიგანას“, „არმაზის“, „დინამოს“, „უნივერსიტეტისა“ და ვეტერან მორაგბეთა ხმებმა ჯამში 16 შეადგინა და ქეორუმს გადააჭარბა. დარბაზში სარაგბო კლუბ „აკადემიას“ წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ, თუმც მათ რეგისტრაცია არ გაუვლიათ. საერთოდ არ ჩამოვიდა ყრილობაზე აჭარა, ხოლო ქუთაისის 27-ე სკოლამ და „იაპ“ გეგენავას შეატყობინეს, თბილისში მომავალნი ავარიამი მოვყევით და ალბათ გვიან შემოგვიერთდებითო. კრება ისე დამთავრდა, ისინი არ გამოჩნდნენ.

რეგისტრაციაგაგლითა სიის გამოცხადებას ლამის ორსაათიანი კამათი მოჰყვა. პირველმა სიტყვა ბიძინა გევიძემ აიღო და ვეტერანებისთვის ხმის უფლებების მიცემა არასწორად მიიჩნია, აქედან, 26 იანვარს კი გააწვევრიანეთ, მაგრამ ნამდვილ, აქტიურ თუ საპატიო წევრად ეს არ განსაზღვრულაო. პრეზიდენტისვე განცხადებით, იმავე ყრილობაზე თქმულა, სანამ ეს დელეგატები გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, რაოდენობა არ გაიზრდებაო. გეგენავამ გევიძის ნათქვამი უარყო და დარბაზში მყოფთ სთხოვა, ყველაფერი კარგად გაეხსენებინათ. აზრის გამოთქმელთა კამათიც აქედან დაიწყო და ბევრი არგუმენტირებული თუ უარგუმენტო განცხადებაც გაისმა. მხარეებმა შეთანხმებას, რა თქმა უნდა, ვერ მიაღწიეს და ყრილობის წამყვანებმა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კენჭისყრას მიანდეს, თუმცა სანამ დელეგატები თავიანთ პოზიციას წერილობით დააფიქსირებდნენ, სალაპარაკო თემად უნივერსიტეტის ხმები იქცა. საარჩევნო განაცხადებში შეტანილი უნივერსიტეტის საბუთი ამ კლუბისთვის მინიჭებული ორი ხმის გამოყენების უფლებას ანთადის მომხრეთ აძლევდა. 26 იანვრის არ-

ჩვენებზე კი პირიქით, ხმები გევიძისკენ წავიდა. ეს საკითხი რომ დავის საგანი გახდებოდა, აღრევე იყო ცნობილი. საბოლოო გადაწყვეტილება კლუბის დამფუძნებლებს გუშინწინ, გვიან ღამით მიუღიათ. კლუბის ხმები ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ ლოსაბერიძისთვის ჩაუბარებიათ, მაგრამ მოლაპარაკება ოფიციალურად, ბეჭდით არ დადასტურებულა და პრეზიდენტის მომხრეებმაც უნივერსიტეტის ხმების გაბათილება მოითხოვეს. ვერც ამ და ვერც ვეტერანთა ხმისთან დაკავშირებულ საკითხზე სასურველი პასუხი ვერ მიიღეს და არჩევნების ჩაშლაც გამოირიცხა. დარბაზმა ხმის დამთვლელი სამკაცინი კომისია დაასახელა. მასში კავშირის გენერალური მდივანი ნუგზარ მაღალურაძეც შეიყვანეს. ბიძინა გევიძემ კი ერთხელაც ითხოვა სიტყვა: „რაც დღეს აქ ხდება, სიყალბეა. ნამდვილად არ ვიცი, ვინ დგას ყოველივე ამის უკან. ფაქტი ერთია, რაგბის სამყარო არაერთსულოვანია. დრო ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. კლუბებს მოგიწოდებთ, ერთხელაც დაფიქრდეთ, ნუ მიიღებთ მონაწილეობას ამ სიყალბეში. მე კი დაგემშვიდობებით.“ მას შემდეგ, რაც გევიძემ დარ-

ბაზი დატოვა, იქ მისი მხარდამჭერი რამდენიმე კაციღა დარჩა, მათ შორის გენერალური მდივანი და ვიდრე კენჭისყრა დაიწყებოდა, კამათმა კიდევ ნახევარი საათიც წაიღო. პირველ რიგში ვეტერანთა ხმის საკითხი გადაწყვიტეს დადებითად, შემდეგ კი რვავე სუბიექტმა სახელობითი კენჭისყრით თავისი პოზიცია დააფიქსირა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა მათგანმა ანთაძე აირჩია. ახალ პრეზიდენტს 16 ხმა დაუგროვდა. ვიდრე ანთაძე მილოცვებს მიიღებდა, მცირე კომენტარიც გააკეთა: „ყველას, ვინც ესწრება დღევანდელ ყრილობას და ვინც არ მოვიდა, ასევე ვეტერანებს, მორაგბეებს და რაგბის თითოეულ გულშემატკივარს მადლობა. სარაგბო თემი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და ასეთადვე დარჩება. სამწუხაროა, რომ ყრილობა სასურველ გარემოში ვერ ჩატარდა, მაგრამ ეს ემოციები აუცილებლად დაცხრება და ყველაფერი დალაგდება. მიუხედავად ყველაფრისა, მადლობას ვუხდით ბიძინა გევიძესაც. მის დროს ხომ რაგბიმ სპორტის მოყვარულთ საერთო სიხარული მოუტანა. მეტი რომ არაფერი ვთქვა, ჩვენ ერთად ვთამაშობდით და ცო-

ტა ხანს მის გუნდს ვავარჯიშებდი კიდევ. დღეს ჩემს გეგმებზე ვერაფერს გეტყვით. უახლოეს მომავალში სპეციალურ პრესკონფერენციას მოვიწვევ და გეგმებზეც დაწვრილებით მოგახსენებთ. საერთო ენას ყველა დაინტერესებულ პირთან გამოუნახავთ, ვისაც რაგბის განვითარება სურს. დრო გვიჩვენებს, რომ ჩვენ შევძლებთ ამ საქმის წინ წაწევას.“ ახალი პრეზიდენტის გამოსვლით ყრილობა არ დამთავრებულა. დელეგატებმა დღის წესრიგში შეტანილი ერთი საკითხიც გადაწყვიტეს. შეიქმნა სამკაცინი სარევიზიო კომისია ვია სოსელიას, მიხეილ გარუჩავასა და მიხეილ კალანდაძის შემადგენლობით. მათ კავშირის შიდა ანგარიშის გადამოწმებას და გადაბარებას უნდა მიხედონ. დაბოლოს, მორიგი რიგგარეშე ყრილობა ოქტომბრისთვის დაიგეგმა. მასზე ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი წესდებაში ცვლილებების შეტანა იქნება. სიახლეებზე უფლებამოსილებაშენარჩუნებული ძველი გამგეობა, კლუბები და რაგბიში მოტირალე ხალხი ერთად იმსჯელებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**  
**ზურაბ დოლიძე-ჯაფარიძის**  
*ფოტოები*



# მარქს-ენგელს-ნიკოლაიდან პოპულარული

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №82

ახლა, როცა ჯუმბერს ვისვენებ და მისი პიროვნების წარმოჩენასაც ჩემულად ვცდილობ, თვალწინ მისი სიკეთით აღსავსე სახე მეხატება.

ცხადია, უნაკლო ადამიანი ქვეყანაზე არ არსებობს, ჯუმბერსაც ჰქონდა ნაკლი, რომელიც გარკვეულწილად აისახა მის ტრავმატულ დაღუპვაშიც. მეძმარიაშვილის გამოჩენული პიროვნული თვისებები იყო: პასუხისმგებლობის მაღალი გრძობა, მეგობრისთვის თავგანწირვის უნარი, უმთავრესად კი ის, რომ ახლობლის წყენინება არ შეეძლო.

1957 წელს მოსიმაღლეთა ნაკრებში უძრავლესობას უკვე თსუ-ს წარმომადგენლები შეადგენდნენ, რამაც წვლილი, ცხადია, ჯუმბერსაც, როგორც გუნდის კაპიტანს, მიუძღვის.

1955-1956 წლების შედეგების მიხედვით ექსპედიციაში, ჩემს გარდა, ჩაირიცხა გიორგი აბაშიძე, ოთარ ხაზარაძე, ომარ ბერაძე, გურამ თიკანაძე, ძირითად ბირთვის კი 1956 წლის გუნდი შეადგენდა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ლეგენდარული ქართველი მთამსვლელები ბექნუ ხერგიანი და ჭიჭიკო ჩართოლანი. ჩვენთან ერთად იყო მესტიელი ილია გაბლიანიც, რომელსაც საუცხოო შედეგები ჰქონდა კავკასიონზე.

ამოცანა, რომელიც იმ წელიწადს ჩვენი ნაკრების წინაშე იდგა, უაღრესად რთული გადასაწყვეტი იყო. ღარმოს პიკზე (6595მ) ასვლა სამხრეთიდან და ძირდაუშვებლად დარვაზის ქედის ექვსათასიანი სიმაღლის მონაკვეთის (7 მწვერვალი, რომელთა სიმაღლეც 6000 მეტრს არის აცილებული) სრული ტრავერსი იმჟამად ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა.

წინა ექსპედიციებმა, რომლებიც პამირის ამ რაიონში მოქმედებდნენ, არა თუ ვერ შეძლეს „ღარმოს კვანძის“ გახსნა, არამედ გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის მხრიდან ღარმოს პიკზე ასვლაც კი შეუძლებლად ჩათვალეს.

ჩვენმა ნაკრებმა ჯუმბერ მეძმარიაშვილის მეთაურობით, არც თუ მცირე წვლილი შეიტანა ამ რაიონის გეოგრაფიულ შესწავლაში (დადგინდა დარვაზის ქედის მრავალრიცხოვან განშტოებათა და ძირითადი მყინვარის შენაკადების განლაგება, ფირნის ველების მოცულობა და მდგომარეობა, გამყინვარების მასშტაბები და ა.შ.)

ექსპედიციის დასკვნით ეტაპზე ჩვენმა გუნდმა ღარმოს პიკზე რთული და იმადროულად ლოგიკური სასიმაღლო მარშრუტი გაკვალა და ძირდაუშვებლად ტრავერსით გაიარა დარვაზის ქედის მწვერვალები.

როგორც წინააღმდეგობა, ეს ტრავერსი 1957 წლის საუკეთესო მიღწევად აღიარეს, ჯუმბერმა კი თავის წინა წლების მონაგარს (ოქროს და ვერცხლის მედლები) კიდევ ერთი ოქროს მედალი დაუმატა.

ამ ექსპედიციის მიღწევა მხოლოდ სპორტული შედეგით არ ამოიწურა. დარვაზის ქედზე კიდევ ორი სახელი აკიაფდა. ერთ-ერთს, 6300 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალს, რულაქი ეწოდა, მეორეს კი — თბილისი.

ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს ალბათ ახსოვს, რომ 1957 წლის მიწურულს საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ნეპალის მეფე ბირ ბი-

## პარტოელი მთამსვლელები პამირისა და ტიან-შანის მთებში

ეძღვნება მწვერვალ პოპულარული დატოვალ უკმაპო მამარიაშვილის ხსოვნას



პამირის 1958 წლის ქართველ მთამსვლელებს ექსპედიციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი: ოთარ ხაზარაძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, გურამ მენაბდე (ექიმი), ზურაბ ახვლედიანი, ნოდარ ნადირაშვილი, შოთა ჩართოლანი, გიორგი აბაშიძე, სოლოკო ხაბეიშვილი, ცაკო მაჭარაშვილი, შოთა მირიანაშვილი, პირიბე გვარლიანი (მათ გარდა ექსპედიციაში იყვნენ: ლევან ახვლედიანი, ილია ყავლაშვილი, რევაზ ხაზარაძე, თეიმურაზ კუხიანიძე და ექსპედიციის უფროსი ალექსი ივანიშვილი)

ქრამ შაჰ დევი თბილისშიც ჩამოვიდა, საქართველოს ალპინისტური კლუბი მოინახულა და ქართველ მთამსვლელებს ევერესტზე ასვლის უფლება დართო (1959წ).

რადგან საუბარი ევერესტს შეეხო, მინდა მკითხველს ისიც ვამცნო, რომ იმ წლებში (1955-1959) ჰიმალაებზე და ყარაყორუმში ჩატარებულ არც ერთ ექსპედიციას არ ჰყოლია მოსიმაღლე მთამსვლელობა, როგორც ქართველებს 1959 წლის მიჯნაზე ყავდათ.

ამდენად, ქართველებისთვის ძირითადი პრობლემა ჰიმალაებში გასვლის უფლებების მოპოვება იყო, ევერესტზე ასვლა კი, ჩვენ ძალებს, ცხადია, არ აღემატებოდა.

ევერესტზე ასვლის გზის ვარიანტების განხილვისას უპირატესობას მწვერვალის დასავლეთი თხემს ვანიჭებდით. ცხადია, გეიზიდავდა მწვერვალის სამხრეთ-დასავლეთი კედელი, მაგრამ ევერესტზე კედლით ასვლის ეპოქა ჯერ კიდევ დამდგარი არ იყო (ეს კედელი 17 წლის შემდეგ, პირველად ინგლისელებმა დაძლიეს, 1982 წელს კი მისი ერთ-ერთი რთული ვარიანტი — საბჭოთა მთამსვლელებმა.

ევერესტზე ასვლას ქართველები 1959 წლის აპრილ-მაისში გეგმავდნენ, მაგრამ ინდოეთ-ჩინეთს შორის ურთიერთობის გათულებამ და დაბაბულობამ ნეპალ-ტიბეტის საზღვარზე, სადაც ევერესტი მდებარეობს, ექსპედიციის ჩატარების ყოველგვარი შესაძლებლობა გამოირიცხა.

ასე იყო თუ ისე, 1958 წელს საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელობა ნაკრებმა მონაწილეობა არ მიიღო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში და მთელი დრო ევერესტისთვის სამზადისს დაუთმო.

ჩემპიონატზე უარის თქმამ ბევრ ჩვენგანს გული დაწყვიტა, მაგრამ ევერესტზე მოსალოდნელი ასვლის პერსპექტივა ყველაფერს ფარავდა.

სეზონის „გაცდენის“ ერთგვარი კომპენსაცია იყო ალპინისტური თვალსაზრისით ნაკლებად შესწავლილი დიდი საუკდარას მყინვარის მხრიდან საბჭოთა კავშირის

სიმაღლით მესამე მწვერვალის — ლენინის პიკის (7134მ) დალაშქრის შესაძლებლობა.

ევერესტის ჯგუფი საუკეთესო მოსიმაღლე მთამსვლელებით დაკომპლექტდა. ასვლის ხელმძღვანელად, ცხადია, ჯუმბერ მეძმარიაშვილი დაამტკიცეს.

ექსპედიცია პამირში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ალექსი ივანიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი) ჯუმბერ მეძმარიაშვილი (მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი) ლევან და ზურაბ ახვლედიანები, გიორგი აბაშიძე, თეიმურაზ კუხიანიძე, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები, შოთა მირიანაშვილი, ომარ ბერაძე, ილია ყავლაშვილი, ნოდარ ნადირაშვილი, სოლოკო ხაბეიშვილი, შოთა ჩართოლანი, პირიბე გვარლიანი.

ექსპედიციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, აგრეთვე, მიხეილ ხერგიანს, დიმიტრი ობოლაძეს, ვოკია და სოზარ გუგავებს.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მთამსვლელობა ნაკრები 1959 წლის გაზაფხულზე ევერესტზე ასვლას ტიბეტის მხრიდან გეგმავდა. როგორც შემდგომში გაირკვა, მოსამზადებლად მათაც პამირის ის რაიონი აირჩიეს, რომელიც ჩვენ.

როცა ქართველი მთამსვლელები კარაჯილგასაის ხეობაში შევედით და მყინვარ ოკტიბარისკის ენასთან ეწ. „ვერცხლის ნაკადულს“ მივალწიეთ, იქ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მთამსვლელობა ნაკრები (85 მთამსვლელები) მთელი შემადგენლობით დაგვხვდა და საბაზო ბანაკი მოუწყოთ.

საბჭოთა ნაკრებს კირილე კუზმინი ედგა სათავეში (ის კირილე კუზმინი, რომელიც 1954 წელს ენგელსის პიკზე ჩვენი გუნდის შემადგენლობაში იყო), ჩინეთისას კი — ში ჩუან-ჩუნი.

ჩვენი პატარა ბანაკი მათი ქალაქის გვერდით მოვაწყეთ. მიხეილ ხერგიანი მათ შემადგენლობაში აღმოჩნდა, თუმცა, როგორც თავად ამბობდა, ევერესტზე ჩვენთან ერთად იქნებოდა.

ორივე ნაკრებს ერთი მიზანი გეგმილი — ევერესტისთვის სამზადისი. აქედან გამომდინარე დაპი-

რისპირებისთვის, ცხადია, პირდაპირი მიზეზი არ არსებობდა, ვინაიდან ასვლას ევერესტზე ჩვენ სამხრეთიდან (ნეპალის მხარე), საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ნაკრები კი საპირისპირო მხრიდან (ტიბეტი) გეგმავდა.

ამის მიუხედავად, ფარულმა დაპირისპირებამ ჩვენი ჩასვლის დღიდანვე იჩინა თავი. ქვეცნობიერად ჩვენ, ქართველებს, ცხადია, არ გესურდა რუსების უკან ჩანალი, ვინც დაასწრებდა ასვლას ლენინის პიკზე, სსრკ-ჩინეთის ნაკრები თუ ჩვენ, აი პრობლემა, რომელიც სასწრაფოდ იყო გადასაწყვეტი.

შექმნილი ვითარება სსრკ-ჩინეთის ნაკრების სასარგებლოდ იყო. ქართველები რომ ხეობაში შევედით და საბაზო ბანაკი გავაწყეთ, „მოწინააღმდეგეს“, რომელიც რაიონში ჩვენზე 15 დღით ადრე იყო შესული, მოსამზადებელ სამუშაოთა დიდი ნაწილი მოთავებული ჰქონდა (ვერცხლისხმობ შუალედური ბანაკების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საქმიანობას).

რეალობა კი ასეთი იყო: ჩვენი ბანაკიდან მყინვარ დიდი საუკდარას აუზში გადასვლას ზულუმართის ქედზე მდებარე 5300 მეტრის სიმაღლის უღელტეხილით და შემდგომ მყინვარის სათავეებამდე მიღწევას (პამირის ამ ერთ-ერთი უდიდესი მყინვარის სათავეშია ცად აჭრილი ლენინის პიკის გრანდიოზული თოვლ-ყინულოვანი მასივი), 4-5 დღე მაინც სჭირდებოდა. არც თვით ლენინის პიკზე ასვლა მოთხოვდა ნაკლებს. ამდენად, ლენინის პიკზე ასვლა და მშვიდობიანად საბაზო ბანაკში დაბრუნება, ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებშიც კი, სულ ცოტა, 12 დღეზე მაინც უნდა ყოფილიყო გათვლილი.

სასიმაღლო ასვლების პრაქტიკიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო და გეგმაშიც გვექონდა შუალედური ბანაკების მოწყობა (სამის მაინც), რაც სსრკ-ჩინეთის ნაკრებს ფრიალზე ჰქონდა შესრულებული. შუალედური ბანაკების შექმნის და სათანადო სასიმაღლო აკლიმატიზაციის გარეშე ლენინის პიკზე ასვლის

წამოწყება, ცხადია, მამულებზე რისკით იყო დაკავშირებული. არ იყო გამოირცხვლი, ასვლა მძიმე მდგომარეობით დამთავრებულიყო, ვინაიდან ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ისეთებიც (5 კაცი), რომლებიც პამირში პირველად მოხვდნენ და არავინ უწყობდა, თუ როგორ გაუძლებდნენ ისინი ერთბაშად 7000 მეტრს აცილებულ სიმაღლეს.

ამის მიუხედავად, გადაწყვეტილით ასვლა რუსებისთვის არ დავევით და შუალედური ბანაკების მოწყობლად და უაკლიმატიზაციოდ, მწვერვალზე იერიში ალპურ სტილში მიგვეტანა.

ამ გადაწყვეტილების მთელი სიმძიმე, ცხადია, ექსპედიციის უფროსს ალექსანდრე ივანიშვილს და ასვლის ხელმძღვანელს ჯუმბერ მეძმარიაშვილს ეკისრებოდა.

როცა ხეობაში შესვლის მესამე დღეს მთელი შემადგენლობით ბანაკიდან გავლიდით, სსრკ-ჩინეთის ნაკრების მთელი არმია გვაცილებდა. ორი დღის შემდეგ მათთან ფეხბურთში მატჩი გვექონდა ჩასატარებელი (პირველი შეხვედრა, რომელიც 4200 მეტრის სიმაღლეზე გაიმართა, ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა — 1:0). რუსებს, ცხადია, რევაზის ალება სურდათ და მეორე მატჩისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. მათ, ალბათ, ვერც კი წარმოედგინათ, რომ ლენინის პიკზე ვაპირებდით პირდაპირ იერიშის მიტანას და საბაზო ბანაკში არათუ მეორე დღეს, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, ორი კვირის შემდეგ თუ დავბრუნდებოდით. განმეორებით მატჩზეც იმისთვის დავთანხმდით, რომ რუსებს ჩვენი განზრახვის შესახებ ეჭვი არ გასჩნოდათ და საბჭოთა კავშირის მთამსვლელობა ფედერაციის ოფიციალურ პირებს (მათ ექსპედიციაში ასეთები მრავლად იყვნენ) არ აეკრძალათ იერიშზე მოუშვალა და გასვლა.

აქ არ შეუძლებელი ლენინის პიკზე ასვლის პერსპექტივის აღწერას, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ჩვენმა გუნდმა ჯუმბერის წინამძღოლობით, ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას და ლენინის პიკი უპრობლემოდ დალაშქრა.

ის, რომ სსრკ-ჩინეთის ნაკრებს ჩვენს მიერ გაკვალული გზით უნდა ევლო, ცხადია, გეგმაყოფიდა. ერთადერთი, რაც გარკვეულწილად გვაღელვებდა, ის იყო, შეძლებდა თუ ვერა სსრკ-ჩინეთის მთამსვლელობა ნაკრები ასვლის ორგანიზებას ჩვენზე უფრო შემჭიდროებულ ვადებში, ე.ი. უფრო სწრაფ ტემპში?!

ლენინის პიკზე ასვლა ზუსტად ჩვენი გრაფიკით წარმატებულად მხოლოდ მათმა პირველმა რაზმმა დაამთავრა. მწვერვალს მიადწია 17-მა ჩინელმა და 21-მა საბჭოთა მთამსვლელებმა, მათ შორის იყო ჩვენი თანამემამულე და მეგობარი მიხეილ ხერგიანიც.

მეორე რაზმს, რომელსაც ევგენი ბელუცკი ედგა სათავეში, არ გაუმართლა და დამით ამოვარდნილი ქარიშხლის გამო, 6800 მეტრის სიმაღლიდან უკან დახევა მოუხდა.

**შოთა მირიანაშვილი**  
**საქართველოს მთამსვლელობა ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი**

დასასრული იქნება

ემტორილის დია პირველობა თიხნარი

საპრიზო 520 ათასი \$

პირველი წრი

რიზბერ მასკე (საფრანგეთი) — ნიკოლას მასუ (2, ჩილე) 0:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:5); რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — გორან ივანიშვილი (სორვატია) 6:4, 6:1

მეორე წრი

ხუან იბანეტი (5, არგენტინა) — დიოგო როშა (პორტუგალია) 6:0, 2:0 როშამ შეწყვიტა; მინორ პანელი (რუმინეთი) — ოლივიე როსუსი (ბელგია) 6:4, 6:0

ემტორილურ თიხნარზე საივანოლ სხვა, მეტ-ნაკლებად სახელიან მოთამაშეთა გვერდით ნიჭიერი ყმაწვილებიც — 17 წლის ესპანელი რაფაელ ნადალი და მისკბილა ფრანგი რიზარ გასკეც გამოდიან. იმდღევანდელი სამთავარსათაურო ამბების შემოქმედნიც სწორედ ისინი იყვნენ. პირველმა ბებერ გორან ივანიშვილს წაუშურდლა, ვინ იცის, უკვე მერამდენე მობრუნება დიდ კორტზე. მეორემ კი მეორე ნომრად განთესილი ნიკოლას მასუ აოტა.

ნადალი და ივანიშვილი წლეულს ერთმანეთს უკვე მეორედ ზვებოდნენ. მათი წინა, მაიაპური მატჩი ერთგვის შეუძლებლად ხორავტმა მხრის ტრავმის გამო შეწყვიტა. რევანშის გამოსწორება ის ამ ჯერზე ცდილობდა, მაგრამ იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ თიხნარს სამიწლისწინანდელი რომაული მასტერსობის შემდეგ აღარ გაჰკარებია, ნადალის მე-15 საამსეხონო მოგება არავის გააოცებდა.

ნამატჩეც ესპანელ მუჩანოს იმას დაეკითხნენ, მშობლიურ ვალენსიაში გამოსვლას ემტორილში თამაში რატომ არჩივო. რაზეც მან საკმაოდ დამაჯერებლად მიუგო — იმიტომ, რომ ეს უფრო სერიო-



რაფაელ ნადალა გორან ივანიშვილის მორიგი დებუტი ჩაუმწარა

ნადალის ნადავლი

ივანიშვილი ბავშვებთან ვერ ურთიერთობს

ხული ტურნირი. „თავად განსაჯეთ — თქვა მან — იქ რომ გამოვსულიყავი, მესამე ნომრად განმთესავდნენ, აქ განთესილი საერთოდ არა ვარ. განა ეს არ ამტკიცებს, რომ აქ თამაშს უფრო დიდი ფასი აქვს?“

ამტკიცებს და მერე — როგორ. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ნადალი და გასკე მომავალ წრეში ერთმანეთს უნდა დაეჯახონ და კარიერის პირველი ტიტულის ძიებას მათგან მხოლოდ ერთი განაგრძობს.

II OPEN DE TENIS COMUNIDAD VALENCIANA ვალენსია. თიხნარი საპრიზო 395 ათასი \$

მეორე წრი

ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — ფელისიანო ლოპესი (2, ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:4; პრისტოვ როსუსი (ბელგია) — ალბერტ კოსტა (4, ესპანეთი) 6:4, 6:3; მარკ ლუპესი (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 6:4

ამ, ძირითადად შიდაესპანურ კონკონობაზე იმ დღეს ორი ამგვარი ესპანელი — სიბე-მეჯვარე ალბერტ კოსტა და ალექს კორეჩა გააბუნძულეს. კოსტა ტურნირის მარშანდელმა ფინალისტმა კრისტოფ როსუსმა დაიმორჩილა, კორეჩას კი კვალიფიკანტი მარკ ლოპესი გაუსწორდა. ამ ლოპესმა რაღაც სახელი მარშან, მტუტგარტულ ნახევარფინალში გასვლით დაიგლო, სადაც ვილერმო კორიას, სერხი ბრუგერასა და ალბერტო მარტინს აჯობა, მაგრამ მას შემდეგ ისევე ჩრდილში მოექცა და ჩვენი კლავიატურის არეალიდანაც აორთქლდა.

აშშ-ის კაცთა თიხნარპირველობა ჰიუსტონი. საპრიზო 380 ათასი \$

პირველი წრი

ანდრეი პავლი (5, რუმინეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ევადორი) 6:4, 6:3; ტომი ჰბისი (გერმანია) — რო-

ბი ჯინებრი (6, აშშ) 7:6 (7:5), 6:4

მეორე წრი

ანდრი რუდიკი (1, აშშ) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:2, 6:3; ლუის ორნ (7, პერუ) — სტეფან რობერი (საფრანგეთი) 0:6, 6:1, 6:3; იკრბან მელცარი (8, ავსტრია) — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:2, 6:4; ტომ მარტინი (აშშ) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:6 (7:3), 7:6 (8:6)

ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, რომ ტურნირის 2001-02 წლების გამარჯვებულსა და მარშანდელ ფინალში ანდრე ავასისგან ძლეულ ენდი როდიკს ტიტულის მოხვეჭა არ უნდა გაუჭირდეს. ამ შეთანხმებას თითქოს თავად ენდი-ბოიცი უერთდება — გუმინ მან მხოლოდ 58 წუთი მოანდომა თვისტომ რობერტ კენდრიკის ალაგმვას. აღარ მინდა, გრძელი მატჩები ვითამაშო, ოხუნჯობდა ის თავისი ზედიზედ მეთე და ჯამში 30-ე საამსეხონო მოგების შემდეგ.

სხვაფერე — დიდ კორტზე და-

ბრუნებას წარმატებით განაგრძობს ტომი ჰასი, ვისაც მთელი მარშანდელი სეზონი მხრის ოპერაციის გამო გაუკვირებდა. ნიჭიერი რაგინლარა მეთოხოდინაში მას უკვე 2002 წლის სექტემბრის შემდეგ აღარ უთამაშია.

THE FAMILY CIRCLE CUP ჩარლსტონი. თიხნარი საპრიზო 1,3 მილიონი \$

მეორე წრი

ლინდსი დეჰნაორტი (5, აშშ) — ელენა ინკოვიჩი (სერბეთი და ჩერნიგორია) 7:5, 6:3; ელენა დემინტინა (6, რუსეთი) — ანაბელ მედინა გარაგეხი (ესპანეთი) 6:2, 6:2; ჯანიფარ კაპრინი (7, აშშ) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:3, 6:1; ნადია პეტრეშკა (8, რუსეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:3, 4:6, 7:6 (9:7)

ამ ტურნირზე უილიამსების დაოკებას უწინარესად შედრანცულებული ამერიკელებივე — წინა კვირაში ამელაი აილენდის მონარხი ლინდსი დეჰენპორტი და წლეულს ზურგის ტრავმის გამო უკვე სამ ტურნირს თვითგამოკლებული ჯენიფერ კაპრიატი ეცდებიან. ერთმაც და მეორემაც იმ დღეს დამაჯერებლად ითამაშა შედარებით წიწკი მეტოქეების წინააღმდეგ — ლინდსიმ სერბი ელენა ინკოვიჩი მოდრიკა, ჯენიმ კი რუს ლინა კრასნორუცკაიას უტრყა.

ეგებ თქვენც გახსოვდეთ, რომ ჯენი ტურნირის 2001 წლის ჩემპიონი და 1990 (!) წლის ფინალისტი (როცა თვით მარტინა ნავრატლოვასთან დამარცხდა). ლინდსის ჯერ არასოდეს უთამაშია ჩარლსტონურ ფინალში, ისევე როგორც ჩარლსტონობის დარად აღმატებული თიხნარტურნირების — ბერლინობისა და რომობის სატიტულე მატჩებში.

ლევან კელაშაძე

პლეი ოფი. პირველი წრი

ეშმაკმა არ უნყის, ვინ არის ეში

14 აპრილი

დასავლეთი

დალასი 1:3 კოლორადო

დალასი 2:3 კოლორადო

1:2 0:0 1:0 0:0 0:1

0:1 ჰეიდუვი (10), 0:2 საკიკი (15), 0:2 ზუბოვი (16), 2:2 ტარჯონი (52), 2:3 სეატლოში (88)

ამ მატჩში გადამწყვეტი გოლი კოლორადოელმა მარეკ სვატოშმა გაიტანა, კაცმა რომელსაც ნკლ-ში სულ 8 თამაში ჩაუტარებია. სლოვაკი ისე ირვებოდა, მრავალნაკადი მოთამაშე გვეგონებოდათ. მეორე ოვერტაიმში 21 წლის ფორვარდი ელვისებურად შეიჭრა მეტოქის ზონაში და შაიბა ზუსტად ცხრიანში ჩააჭყდა.

აღმოსავლეთი

ნიუ ჯერსი 1:3 ფილადელფია


ნიუ ჯერსი 0:3 ფილადელფია

0:1 0:0 0:2

0:1 იუნსონი (2), 0:2 ფანოვი (45), 0:3 პრიმო (57)

პლეი ოფი გმირების აღმოჩენის დროა, ამბობენ და სამართლიანადაც აბა, განსაკუთრებით ვინ აჯახებდა „ფილადელფიის“ ნილიან კაცს, მეკარე რობერტ ეშს. 26 წლის გოლკიპერი აქამდე მოკრძალებით და უთქმელად ასრულებდა

თავის მოვალეობას, ამიტომ როცა გუნდის თავკაცმა კენ ჰიჩოკოკმა სწორედ მას მიანდო ფრიად პასუხისმგები საქმე, ბევრისთვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ... მოხდა საოცრება, „მფრინავებმა“ 7 წლის განმავლობაში პირველად ამოისუნთქეს შვებით — მათ კარს საიმედო კაცი იცავს. ეში არც წინა მატჩებში ჩამოუვარდებოდა თავი მრისხანე კოლეგა მარტინ ბროდოს, ამჯერად ხომ სავესებით დაჩრდილა ეს სახელოვანი მეკარე. პირველ და მეორე პერიოდში მასპინძლებმა მართლაც რომ გიჟური სიჩქარეები ჩართეს და მრავალჯერ შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ანგარიში უნდა გაეთანაბრებინათ („ფილადელფიამ“ კვლავ სწრაფი გოლი გაიტანა), მაგრამ არ გამართლდა. ეში კედელივით იდგა. არაერთხელ გააწვილა მან მასპინძლებიც და მათი გულშემატკივრებიც. აი, მესამე პერიოდში კი სტუმრებმა ზედმიწევნით დროულად იგრძნეს მეტოქის დაღლა (როგორია, ორი პერიოდის განმავლობაში უშედეგოდ შეტევა) და ელვისებური კონტრშეტევებით დააბნიეს „ნიუ ჯერსის“ დაცვა. თავიდან სიმონ განიემ ძალიან ახლო-



ერთი დალასელი ფანი „კოლორადოს“ დალასში ზეიმმა გააღიზიანა

დან ააცილა კარს, მაგრამ მალე აღექსეი ჟამნოვმა ოსტატურად გამოიყენა შანსი და საბოლოოდ გატეხა „ეშმაკები“, ასე რომ, თასის მფლობელი უფსკრულის პირასა და ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველაფერი ამის შემდეგ „ეშმაკებმა“ საკუთარი ძალა ირწმუნონ.

ოტავა 2:2 ტორონტო

ოტავა 4:1 ტორონტო

1:1 1:0 2:0

0:1 რობერტსი (17), 1:1 ალფრედსონი (20), 2:1 პოსა (34), 3:1 უაიტი (44), 4:1 ფილიპსი (48)

სიტყვის კაცი ყოფილა მარიან პოსა. ოტაველთა ლიდერმა წინა

მატჩის შემდეგ მტკიცედ თქვა, მეტოქის მეკარე ედ ბელფორს მაინც დავარქებო და შეასრულა. მოგეხსენებათ, ბელფორმა ზედიზედ ორი შათაუტი მიითვალა და თავიდან ვერც ამ თამაშში უხერხებლდნენ მასპინძლები ვერაფერს, მაგრამ პირველი პერიოდის მიწურულს „სენატორთა“ კაპიტანმა დანიელ ალფრედსონმა მოხსნა ჯადო. შესვენების შემდეგ, ცხადია, „ოტავა“ სულ სხვა განწყობით გავიდა ყინულზე და 34-ე წუთზე თავად პოსამ ოსტატურად მოუგო დუელი ბელფორს. მესამე პერიოდში კი „ოტავას“ გამჩერებელი აღარავინ იყო.

აილენდერსი 1:3 ტამპა

აილენდერსი 0:3 ტამპა

0:1 0:1 0:1

0:1 სან ლუი (11), 0:2 ფედოტენკო (39), 0:3 მოდარო (42)

3:0 ძალიან შეეჩია ამ სერიას. ოთხეუე მატჩი ასეთი ანგარიშით დასრულდა, მაგრამ თუ სტუმრად ჩატარებული ორი შეხვედრის შემდეგ „აილენდერსი“ შინ კარგ განწყობაზე დაბრუნდა, ახლა ტამპაში ისევე ყურებამოყრილი მიემზავრება.


სამგულ ღარიბიანი



REUTERS სტოკჰოლმიდან

# ფლანდრიის ლომი ნაპიდა

„ფლანდრიის ლომად“ წოდებული იოჰან მუსკუ ველტონსტრატუს გულშემატკივრებს ესალმება: „ლომა“ ბოლოდ კი წელიწადს ერთდღიანი რბოლების ერთ-ერთ ლიდერად იმჯღეაოდა. თასშაბას კი 16-წლიანი კარიერის შემდეგ გამოეთხოვა სპორტს. ეს მოხდა შელდუბრიისის რბოლისას, სადაც უკვე სხვები, ვთქვათ, ბელგიელი ტომ ბონენი (შუაში) და ავსტრალიელი რობი მაკეუანი (მარცხნივ) პირველობენ. მუსკუს კი 11 დიდი შეჯიბრი მოუვია კარიერაში.



REUTERS სტოკჰოლმიდან

REUTERS ბელს ბიჩიდან



# თავი სხვანაირადან მუშაობს

ერთ დროს თავურებით განთქმული ფეხბურთელი ოლივერ ბირჰოფი, რომელიც გერმანიის ნაკრებსაც კაპიტნობდა, ლექტორი შექნილა... ბირჰოფის ლექციით გახსნილა მეორე სემესტრი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში. ლექციის თემა კი მართლაც გრანდიოზულია: „რა შეიძლება ისწავლოს საზოგადოებამ სპორტისგან“.



REUTERS ბერლინიდან

# ბელს ბიჩზე

ავსტრალიაში, ბელს ბიჩზე გრძელდება მოსერფეთა განთქმული „რიბ კარი პრი“. ეს შეჯიბრი წლის მეორე შეყრა მსოფლიო თასის სერიებში და მასში 45 საუკეთესო მოსერფე და სამიცი იღბალა ბარათის მომხვეჭი მონაწილეობას. ეს შეყებში გამოხვეული კი დასაფლეთავსტრალიელი ფავორიტი თავ ბაროუ გახლავს.

**სარბიელი**  
საორტული გახეთი

გამოიცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან

გამოლის ორშაბათს,  
სამშაბათს, ოთხშაბათს,  
ხუთშაბათს,  
პარასკეპს ღა შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჳოსხვერია  
დირექტორი ბიორბი ოძრომჭედილიკე  
რედაქტორი თამაზ მიბრიაული  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაღაპე  
ჭართული ფეხბურთის რედაქციი: დავით ერამე, დავით თავართ-  
ქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შლამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქციი: გიოახვლედიანი, ილია ბაბუნა-  
შვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაქიძე, ლალო ხომერიკი, ვაჟა  
ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ჳირაშვილი  
ინფორმაციის რედაქციი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,  
ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე  
გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალისვილი, მაგდა დოგ-  
რაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფიფუაძე, თამარ ქინჭლაძე, ზუ-  
რბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრა  
ყავაპვის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საჳოსტო მისამართი:  
თბილისი – 79, საჳოსტო  
ჳუთი 208. ტელეჳონი: 39 48 29  
ელექტრონული ᳳოსტა  
sarblii@gol.ge  
ელექტრონული ჳერსია  
http://www.sarblii.com.ge